დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაშვილების საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლენა გომართელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

ნესტან გიგაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

მაია მერაბიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

თეონა მაცაბერიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებები

კახა ფარცვანია - უცხოური ენები

ეკა მოსიაშვილი - ესთეტიკური აღზრდა

მარინა მურჯიკნელი - კომპიუტერული ტექნოლოგიები

ნიკოლოზ ჩუბინიძე - სახელმწიფო ენა

მიმოზა ტყებუჩავა - მათემატიკა

შორენა კაკაბაძე - დაწყებითი განათლების ზოგადი საფეხური

ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაშვილების საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248053797

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხულო, სოფელი ოქრუაშვილები
ფაქტობრივი მისამართი	ხულო, სოფელი დუაძეები მე-7 ქუჩა N3
საფოსტო ინდექსი	6500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://bit.ly/4l9KHSI
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	okruashvilebi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	595006177

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის გრძანების ნომერი და თარიღი)	**MES 4 25 0000522076**, 14/05/2025

ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	23-24 ივნისი, 2025

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხულო, სოფელი ოქრუაშვილები, 2 სასწავლო კორპუსი
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხულო, სოფელი ოქრუაშვილები, 2 სასწავლო კორპუსი
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხულო, სოფელი ოქრუაშვილები, 2 სასწავლო კორპუსი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ჯგუფის თავმჯდომარე კოორდინაციას უწევდა ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაციას, თავიდანვე გადანაწილდა ფუნქციები, გაიწერა სკოლაში ვიზიტის დღის წესრიგი. თავმჯდომარე პერიოდულად აწყობდა როგორც სავალდებულო, ისე რიგგარეშე ონლაინ შეხვედრებს teams-ში სპეციალურად შექმნილ ჯგუფში საჭიროებისამებრ. პირველივე შეხვედრის შემდეგ ექსპერტებმა წარმოადგინეს დამატებითი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომლის გაცნობაც საჭიროდ მიიჩნიეს ექსპერტებმა.

ვიზიტამდე ჯგუფის თითოეულმა წევრმა თავმჯდომარეს წარუდგინა ვიზიტის პერიოდში განსახილველი საკითხები და შეკითხვების ნუსხა. აღსანიშნავია, რომ სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც საერთოდ არ ჰქონდა ვიზიტამდე შექმნილი, ან ჰქონდა ხარვეზები. საგნობრივი ექსპერტების მიერ წარმართული გასაუბრების პროცესი სკოლის კათედრების წევრებთან წარიმართა გეგმის შესაბამისად.

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები მყისიერად იქნა გათვალისწინებული.

სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების, სასკოლო დოკუმენტაციისა და გარემოს შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოთქვამს მზაობას ავტორიზაციის სტანდარტების "შესაბამის" დონეზე დასაკმაყოფილებლად, სკოლაში არის პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო, რაც დადებითად აისახება სასკოლო ცხოვრებაზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 250	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურებ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 15/09/2025 წარმოადგინოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით გაწერილი ეტაპების განხორციელების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია.
ინდიკატორი 1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 15/09/2025 წარმოადგინოს დოკუმენტაცია, რომლითაც

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	სასკოლო საზოგადოების მიერ;	დადგინდება სკოლის ფილოსოფიის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ.
ინდიკატორი 1.1.1.5	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 15/09/2025 უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების მიერ გაზირებული სკოლის ფილოსოფიის გამოქვეყნება სკოლის ვებ-გვერდზე და ასევე თვალსაჩინო გახადოს სკოლის შენობაშიც.
ინდიკაოტორი 1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 15/09/2025 უზრუნველყოს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის სკოლის ფილოსოფიასთან შესაბამისობაში მოყვანა.
ინდიკაოტორი 1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 15/09/2025, უზრუმველყოს სამოქმედო გეგმის მოდიფიცირება, რომელიც დაეფუძნება სტრატეგიულ გეგმას
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი 3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 22/07/2026 უზრუნველყოს: ა) უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს შექმნა ბ) უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტების მობილიზება
ინდიკატორი 3.1.1.2	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/ პირებს შორის ფუნქციებისა	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 22/07/2026 უზრუნველყოს: ა) უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს შექმნა

	და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.	ბ) უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტების მობილიზება
ინდიკატორი 3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამის გეგმაში მითითებულ ვადაში, 31/12/2025-მდე წარმოადგინოს დასაქმებულების ცნობები ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ.
ინდიკატორი 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 22/07/2026 უზრუნველყოს დაწყებით საფეხურზე სპორტისა და კომბინირებული საგნების კომპეტენტური კადრების დასაქმება.
ინდიკატორი 3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 15/09/2025-მდე უზრუნველყოს ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება.
ინდიკატორი 3.4.1.8	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 31/12/2025-მდე უზრუნველყოს: ა) უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს შექმნა ბ) უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტების მობილიზება გ)ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექნიზმების ფუნქციონირების შეფასება
ინდიკატორი	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ

N3.5.1.4.	სწავლის ინკლუზიურ გარემოს	ვადაში, 31/12/2026 უზრუნველყოს შენობაში სრულად ადაპტირებული გარემო. კერძოდ, მოაწყოს პანდუსი შშმ პირთა ლაბორატორიებსა და სხვა რესურსებზე წვდომის უზრუნველსაყოფად და გაკეთდეს ადაპტირებული საპირფარეშო.
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 22/07/2027 -მდე: ა) სკოლის უფლებამოსილ უწყებასთან შენობანაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთა შესაბამისობის შესახებ მიმართვა. ბ) ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის უზრუნველყოფა. გ) სკოლის შემოღობვა

	დაწესებულების შემთხვევაში)	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურებ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი #2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით, სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 22/07/2026-მდე, სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია **საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის** მოიყვანოს სტანდართან შესაბამისობაში.
ინდიკატორი 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 22/07/2026 უზრუნველყოს **დაწყებით** საფეხურზე სპორტისა და კომბინირებული საგნების კომპეტენტური კადრების დასაქმება.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.4	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს	სკოლას ეძლევა რჩევა, შეიმუშაოს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი #4.2.1.5	სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას	სკოლას ვურჩევთ შექმნას მოსწაველთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმების შიდა რეგულაციები.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურებ*	*რჩევა*

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)	
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**ესთეტიკური აღზრდა: სკოლას მიეცა რჩევა, თემების მიხედვით გაიზარდოს შემოქმედებითი ხასიათის დავალებების რაოდენობა.** გაიწეროს დავალებების დამუშავების ეტაპები თემების, საკითხების და სასწავლო შედეგების კავშირი წარმოადგინონ ინტეგრირებულად სხვადასხვა საგანთან მიმართებით. კომპლექსური დავალების პირობა გადამუშავდეს ისე, რომ იყოს სწორად ფორმულირებული და შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ დონეს. **(ხელოვნების კურიკულუმში პირველ, მეშვიდე, მერვე კლასებში და მუსიკის კურიკულუმში დაწყებით საფეხურზე)** ყველა თემაში ასახული იყოს ძირითადი საკითხები და კონტექსტ-მაგალითები, რაც დაეხმარება მოსწავლეს მასალის პრაქტიკულ გაგებაში. **ტექნოლოგიები:** სასურველია ქვესაკითხები /სამიზნე ცნებები უფრო დეტალურად ჩაიშალოს შესაბამისი შემოქმედებითი დავალებებით. კურიკულუმში დაუმატეთ ფორმულირებები, როგორიცაა: „დავალება ადაპტირდება მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად“ან „სსსმ მოსწავლეებისთვის გამოიყენება ალტერნატიული მეთოდები და შეფასება“
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** : სასურველია შემოქმედებით პროდუქტები დაკონკრეტდეს (საკითხი, პროდუქტის დასახელება), კურიკულუმებში აისახოს შესასწავლი საკითხები საათების რაოდენობის გათვალისწინებით. სასურველია, კურიკულუმებში ჩანდეს მიმართებები (სამიზნე ცნება, საკითხი, რესურსები) **-სამივე საფეხური.**

		ჩვენი საქართველო, ისტორია **(საბაზო და საშუალო საფეხური)** - სასურველია გაუმჯობესდეს კონტექსტ-მაგალითები, კურიკულუმებში დაზუსტდეს სავალდებულო თემები (ისტორია, მოქალაქეობა -XII კლ) , ცალკე იქნას გაწერილი საქართველოს ისტორიის კურიკულუმი- XII კლ. **ესთეტიკური აღზრდა:**მე-10,მე-11 კლასში პროექტული სწავლებისას საჭიროა თითოეულ თემაში მკაფიოდ განისაზღვროს დასამუშავებელი საკითხები, მათ შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, გაითვალისწინონ საფეხურის საკვანძო კითხვები და საფეხურის მკვიდრი წარმოდგენები **ტექნოლოგიები:** დაიგეგმოს პროექტები სხვა საგნებთან ინტეგრირებით
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია ყველა საფეხურის კურიკულუმებში მითითებული იყოს გრიფირებული სახელმძღვანელო, ასევე ყველა საკითხის შესაბამისი რესურსი. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, სასწავლო პროცესში აქტიურად იყოს გამოყენებული დიფერენცირებული აქტივობების ფორმატები, მაგალითად, მოსწავლეებმა შექმნან საინფორმაციო პოსტერი ან ვიდეორგოლი , პროექტებზე მუშაობა, მაკეტი, ფერწერული და გრაფიკული ნახატები მიეცით არჩევანის საშუალება. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და მათთვის ეფექტური გზებით ცოდნის დაუფლებას.

ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, სასწავლო პროცესში აქტიურად იყოს გამოყენებული დიფერენცირებული აქტივობების ფორმატები, მაგალითად, მოსწავლეებმა შექმნან საინფორმაციო პოსტერი ან ვიდეორგოლი , პროექტებზე მუშაობა, მაკეტი, ფერწერული და გრაფიკული ნახატები მიეცით არჩევანის საშუალება. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და მათთვის ეფექტური გზებით ცოდნის დაუფლებას. **ტექნოლოგიები:** კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი პრაქტიკულად უზრუნველყოფს ინკლუზიურ სასწავლო გარემოს და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, თუმცა საჭიროა ამ მიმართულებების უფრო მკაფიო და სტრუქტურულად დოკუმენტში ასახვა — მათ შორის დავალებების, შეფასებისა და მეთოდური მითითებების დონეზე.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია რუბრიკებში მეტად იქნას გათვალისწინებული სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები (განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები) და შედეგების მიღწევის ინდიკატორები (განმავითარებელი შეფასების რუბრიკები). **უცხოური ენები:** სასურველია შექმნას შუალედური მიზნის შესაბამისი, კონკრეტული შეფასების სქემა. **ტექნოლოგიები:** სკოლამ უზრუნველყოს ამ მიმართულებით მასწავლებლის გადამზადება შეიქმნას კონკრეტულ თემაზე /საკითხზე სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
ინდიკატორი 2.1.2.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური,	**ესთეტიკური აღზრდის** კათედრის სხდომებზე განიხილონ და დაამტკიცონ დაწყებით და საბაზო საფეხურის თითოეულ

	გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	კლასში განსახორციელებელი ყველა კომპლექსური დავალების შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კრიტერიუმები დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში; განმავითარებელ შეფასებაში, აისახოს რეკომენდაციებიც, რომელიც შედეგის გაუმჯობესებაზე და გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით პროგრესზე იქნება ორიენტირებული და შეფასება არ მოიცავდეს მხოლოდ აღწერას, თუ რა გააკეთა მოსწავლემ. კომპლექსური დავალებების შეფასებისას მოსწავლის შეფასება იყოს თანხვედრაში სოლო ტაქსონომიის დონეებთან დოკუმენტაციაშიც. **ტექნოლოგიები:** დაემატოს განმავითარებელი შეფასება (შუალედური უკუკავშირი, პროცესზე დაკვირვება). · გამოყენებულ იქნას თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება. · შეფასების რუბრიკები იყოს მორგებული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. · შეფასება ასახავდეს პროგრესს — არა მხოლოდ საბოლოო შედეგს.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზებთან მიმართებაში. კერძოდ, დასკვნის პროექტში დახარვეზებული იყო შემდეგი ინდიკატორები:

- 1.1.1.1. - სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს-არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ გახდა **სრული**
- 1.1.1.2 - სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს - არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ გახდა **სრული**
- 1.1.1.3 - სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ გახდა **მეტწილი**
- 1.1.1.4 - სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;- არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ გახდა **მეტწილი**

- 1.1.1.5 - სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ გახდა **მეტწილი**

- 1.2.1.2 - სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ გახდა **მეტწილი**

- 1.2.1.3 -სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ გახდა **მეტწილი**

- 3.1.1.1 - სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ გახდა **მეტწილი**

- 3.1.1.2. - სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ გახდა **მეტწილი**

- 3.1.2.4 პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ გახდა **მეტწილი**

- 3.1.2.3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ გახდა **მეტწილი**

- 3.4.1.1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით

დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში); არგუმენტირებული პოზიციისა და შენობის ექსპლუატაციის შესახებ დასკვნის წარმოდგენის შემდეგ გახდა **ნაწილობრივი.**

- 3.4.1.2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას; არგუმენტირებული პოზიციისა და ექთნის ოთახის ფოტოების წარმოდგენის შემდეგ გახდა **სრული**

- 3.4.1.5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ გახდა **მეტწილი**

- 3.4.1.6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;აღმოჩენას; არგუმენტირებული პოზიციისა და პერსონალური მონაცამების დაცვის შესახებ ბრძანებების წარმოდგენის შემდეგ გახდა **სრული**

- 3.4.1.8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ გახდა **მეტწილი**

- 3.5.1.4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; შესაბამისობის გეგმის საფუძველზე შეფასდა როგორც **ნაწილობრივი.**

- 2.2.2.3 კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; შესაბამისობის გეგმის საფუძველზე შეფასდა როგორც **მეტწილი.**

- 2.2.2.4 სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ გახდა **მეტწილი**

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები რამდენიმე დოკუმენტში იკითხება: სკოლის შვიდწლიან სატრეტგიულ გეგმაში მოცემულია შემდეგი სახით: სკოლის მისია: "სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაშვილების საჯარო სკოლა ზრუნავს აღზარდოს ინტელექტუალური, მაღალი ზნეობის , გამოკვეთილი მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე სრულყოფილი პიროვნება. შექმნას შესაბამისი გარემო მოსწავლეთათვის თავისუფალი, შემოქმედი, ინტერკულტურული სამოქალაქო ცნობიერებისა და ტოლერანტობის ჩამოყალიბებისთვის. სწავლა-სწავლების სიღრმისეული შემეცნებისა და ცოდნის ტრანსფერისთვის. შესძინოს კომუნიკაციის, ახალი ფორმაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტურად ათვისების, მთელი ცხოვრების მანძილზე ახალი ცოდნისა და საჭირო ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი. ხელი შეუწყოს მოზარდებში დემოკრატიული ტრადიციების ჩამოყალიბებას, გარემომცველი სამყაროს, ქვეყნის, ოჯახის სიყვარულისა და ერთგულების გრძნობის გაღვივებას და განვითარებას. მოვამზადოთ მოსწავლეები საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისთვის. ეროვნული ინტერესებისა და ტრადიციების დამცველი, კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედი, კომუნიკაბელური, ზნეობრივად, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი მოზარდის ფორმირებაზე, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, მეცნიერული, ეკონომიკური და ბუნებრივი მონაპოვრების დაცვას, განვითარებასა და მომავალი თაობის მსოფლიო სივრცეში თვითრეალიზაცია."

ხედვა: „სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაშვილების საჯარო სკოლა არის მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული სკოლა. სწავლა - სწავლების მაღალი ხარისხით ცდილობს ხელი შეუწყოს მოაზროვნე, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე, თავისუფალი აქტიური თაობების აღზრდას, კონკურენტუნარიანი, პროფესიონალი და ტოლერანტი ადამიანის ჩამოყალიბებას. სკოლამ უნდა შექმნას ისეთი გარემო, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს ცოდნის შეძენას, გამოყენებას, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და საკუთარი პოტენციალის სრულფასოვან გამოვლენას. სასკოლო საზოგადოების კონსტრუქციული თანამშრომლობითა და პასუხისმგებლობის განაწილების გზით სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს თითოეული მოზარდის წარმატებას. აღჭურვოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით."

სკოლის მისია ასევე წარმოდგენილია სასკოლო გეგმაშიც, თუმცა სხვაგვარი ფორმულირებით: სკოლის მისიაა "ინტეგრაცია და ურთიერთთანამშრომლობა თვითგანვითარებისთვის", რაც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და გულისხმობს სხვა ეთნიკური თუ სხვა ნიშნით განსხვავებული ადამიანების პატივისცემას, სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბებას. ამას მოჰყვება დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების მისიები.

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე შემდეგი სახით: „სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაშვილების საჯარო სკოლის (საჯარო სამართლის იურიდიული პირი) მისიაა სასკოლო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით აღზარდოს ეროვნული ცნობიერების მქონე, კონკურენტუნარიანი მოქალაქე, რომელიც მზადაა თანამედროვე სამყაროს გლობალური გამოწვევებისათვის.

სკოლის ხედვაა შექმნას რეგიონში აღიარებული, კონკურენტუნარიანი ზოგადსაგანმანათლებლო სივრცე, სადაც პრიორიტეტული იქნება დემოკრატიულ მონაწილეობასა და ინკლუზიურობაზე დაყრდნობით უწყვეტი, ხარისხიანი განათლების მიღება, უსაფრთხო და თანამშრომლობაზე დაფუძნებული სასწავლო გარემო, არაფორმალური განათლება, პროფესიული უნარების განვითარება, სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობა, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების როლის გაძლიერება სასწავლო და ადმინისტრირების პროცესში.

სკოლა უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას ღირებული სასწავლო გამოცდილებით, სწავლება/სწავლის ინოვაციური მეთოდებით და დაიცავს მთავარ ღირებულებებს: გაზიარებულ ლიდერობას, სამართლიანობას, თანასწორობას, პროფესიონალიზმს, თანამონაწილეობას და პატრიოტიზმს."

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ დგინდება, რომელი მისიით ხელმძღვანელობს სკოლა.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის მიხედვით გარკვეულია, რომ სკოლა ხელმძღვანელობს შემდეგი მისიითა და ხედვით:

მისია

ჯანსაღ, უსაფრთხო და პოზიტიურ სასკოლო გარემოში ხარისხიანი განათლებითა და საზოგადოებრივი მეცნიერებების გაძლიერებული სწავლების მხარდაჭერით აღვზარდოთ კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი მოქალაქეები.

ხედვა

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაშვილების საჯარო სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით, რასაც მივაღწევთ ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდებით, სტრატეგიებითა და მიდგომებით. კურსდამთავრებულები მეტაკოგნიციის საშუალებით შეძლებენ განათლების უწყვეტ პროცესში ორგანულ ჩართვას, რითაც თავს შრომის ბაზარზეც, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიო მასშტაბით.

ღირებულებები:

1. თანამშრომლობა;
2. გუნდურობა;
3. გამჭირვალობა;
4. დემოკრატია;
5. ობიექტურობა;
6. განვითარება და ინოვაციურობა.

ამიტომ, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

გამომდინარე იქიდან, რომ ვერ დგინდება, რომელი მისიითა და ხედვით ხელმძღვანელობს სკოლა,

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, მისიისა და ხედვის დოკუმენტი. ამიტომ, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების ეტაპები სკოლას გაწერილი აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლას შექმნილი უნდა ჰყავდეს სამუშაო ჯგუფი, რომელიც სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შეიმუშავებს სკოლის ფილოსოფიის პროექტს და წარუდგენს დირექტორს, შემდეგ დირექტორი პროექტს უთანხმებს სამეურვეო საბჭოს, რომელსაც საბოლოოდ ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული ეტაპების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ამიტომ, სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 15/09/2025 წარმოადგინოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით გაწერილი ეტაპების განხოციელების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია.
ამიტომ, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლა თვითშეფასებაში აღნიშნავს, რომ სკოლის მისია სასკოლო გეგმის ნაწილია, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. სასკოლო გეგმა ნამდვილად მიჰყვება ამ ეტაპებს, თუმცა გაურკვეველია, რომელი მისიაა შეთანხმებული სასკოლო საზოგადოებასთან.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ამიტომ, სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 15/09/2025 წარმოადგინოს დოკუმენტაცია, რომლითაც დადგინდება სკოლის ფილოსოფიის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, თუმცა ვერ დგინდება, რომელია სკოლის მიერ დამტკიცებული.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ამიტომ, სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 15/09/2025 უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების მიერ გზაირებული სკოლის ფილოსოფიის გამოქვეყნება სკოლის ვებ-გვერდზე და ასევე თვალსაჩინო გახადოს სკოლის შენობაშიც.

ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება - სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაშვილების საჯარო სკოლა - შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანება.

- სკოლის ფილოსოფია
- სკოლის ვებ-გვერდი
- სასკოლო გეგმა
- სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ - სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაშვილების საჯარო სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2024 წლის 27 სექტემბრის ბრძანება N01-03.13 „სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაშვილების საჯარო სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ". მასში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლის ფილოსოფიის, გრძელვადიანი - სტრატეგიული

განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმები. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლამ წარმოადგინა 2024-2031 სასწავლო წლებზე გათვლილი შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის SWOT ანალიზს. გეგმის ძირითადი მიმართულებებია:სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსების განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს შექმნა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერა, ორაგანიზაციული განვითარება. გამომდინარე იქიდან, რომ გაურკვეველია, რომელი მისიისთა და ხედვით ხელმძღვანელობს სკოლა, ვერ დგინდება სტრატეგიული გეგმის კავშირი სკოლის ფილოსოფიასთან.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ამიტომ, სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 15/09/2025 უზრუნველყოს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის სკოლის ფილოსოფიასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ. გამომდინარე იქიდან, რომ ვერ დგინდება სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის კავშირი სკოლის ფილოსოფიასთან, შესაბამისად ვერ დგინდება ერთწლიანი და შვიდწლიანი გეგმების ურთიერთკავშირი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ამიტომ, სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 15/09/2025, უზრუმველყოს სამოქმედო გეგმის მოდიფიცირება, რომელიც დაეფუძნება სტრატეგიულ გეგმას

ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში გაწერილია მიმართულებები, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და ვადები, ჩამოყალიბებული ინდიკატორები და რესურსები.

ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სამეურვეო საბჭოს ოქმები

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში ხორციელდება ყოველ 3 (სამ) წელიწადში და 7 (შვიდი) წლის გასვლის შემდეგ (შემაჯამებელი) ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს.

აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება ქვემოთ მოცემული ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი.

სტრატეგიული მიმართულება	ამოცანები	აქტივობები	მონიტორინგის შედეგები

ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სკოლაში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება ხდება სასწავლო წლის მანძილზე. კერძოდ, დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხის კონტროლით, სტრუქტურული ერთეულების მუშაობაზე დაკვირვებით. მასწავლებელთა/ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშების, კათედრების, პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოს ოქმების საფუძველზე. **შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ცნობილი და გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეთათვის. ვიზიტის პროცესში განხორციელებული ინტერვიუებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ გაზიარება ხდება, სასკოლო საზოგადოების პროცესში ჩართულობითა და უკუკავშირის მიღებით. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ანგარიში შეეხება, როგორც ფინანსურ ასევე, სასწავლო მხარესაც. ორივე მიმართულებით განხორციელებული აქტივობები სკოლის სამოქმედო გეგმის ნაწილია. გარდა ამისა სკოლა ცდილობს გეგმით განხორციელებული ნებისმიერი აქტივობა საჯარო გახადოს და მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დადგემვის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის თანახმად და სკოლის დირექციასთან ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენება მოხდება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. მას შემდეგ რაც სკოლა განახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს დაწესებულების დირექცია შეიმუშავებს განვითარების სტრატეგიულ მიზნებს და ამოცანებს.

ამ ეტაპისთვის **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მასწავლებლების, კლასის ხელმძღვანელების, კათედრების ანგარიშები.*
- *დირექტორის ანგარიში*
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ასევე თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 27 სექტემბრის N01-03/19 ბრძანებით. დოკუმენტში გაწერილია დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლის სტრუქტურული ერთეულები, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა და ასევე ის თანამდებობები შესაბამისი ინსტრუქციებით, რომელიც სკოლას აძლევს ადამიანური რესურსების სრულყოფის შესაძლებლობას. საშტატო განრიგი შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც გაწერილია დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობები. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით(#01-03/18, 27/09./2024) დამტკიცებული სკოლის სტრუქტურა, რომლის მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო, თუმცა **სკოლამ ვერ წარმოადგინა ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ და ასევე საბჭოს მუშაობის დამადასტურებელი ოქმები.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ამიტომ, სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 22/07/2026 უზრუნველყოს:

ა) უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს შექმნა

ბ) უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტების მობილიზება

ინდიკატორი მეტწილად შესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გამიჯნული და გადანაწილებული. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. სკოლის სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ საჯარო სკოლის წესდებით დადგენილ უფლება-მოვალეობებს. დირექტორის უფლება-მოვალეობები დირექტორის ეთიკის კოდექსის შესაბამისად, ხოლო მასწავლებლის უფლება-მოვალეობები მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად არის განსაზღვრული. სკოლაში მოქმედი აქტებით გადანაწილებული ფუნქციები, მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს ემსახურება. თუმცა მნიშვნელოვანი სტრუქტურულის - მრჩეველთა საბჭოს არ არსებობა,რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყვნენ პედაგოგიური და , სამეურვეო საბჭოების,მოსწავლეთა თვითმმართველობის, დისციპლინური კომიტეტის წარმომადგენლები, აფერხებს საგანმანათლებლო საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ამიტომ, სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 22/07/2026 უზრუნველყოს:
ა) უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს შექმნა
ბ) უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტების მობილიზება
ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რეაურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- დასაქმებულთა ხელშეკრულებები;

- დამრიგებლის ფუნქციის დაკისრების შესახებ ბრძანება;
- ელექტრონულ ჟურნალზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- საშტატო განრიგი
- საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესი
- სკოლის სტრუქტურა
- სტრუქტურული ერთეულების ოქმები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი უზრუნველყოფს ადამინური რესურსის მართვას კანონმდებლობის შესაბამისად. ხოლო სკოლის შინაგანაწესში კი გატანილია ის პროცედურები და წესები, რომლის შესრულების უფლება/ვალდებულება აქვს, როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებლს. სკოლა ახალი კადრის შერჩევისას გადაწყვეტილებას. სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაშვილების საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს დებულება დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით და **შესაბამისია ინდიკატორთან**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმებითა და პოლიტიკის ამოცანებით იკვეთება სკოლის პრევენციული და ინტერვენციული პროცესები. მაგალითად, დოკუმენტში გაწერილი პერსონალის მიღება კონკურისი წესით, შემდეგ მისი ადაპტაციისთვის აქტივობების განხორციელება ხდება როგორც ფორმალურ ისე არაფორმალურ გარემოში. ასევე სკოლის სტრუქტურული ერთეულები (დისციპლინური კომიტეტი, პედ საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა,) და მათი სამუშაო პროცესების გაწერა

უზრუნველყოფს სკოლაში პერონალის მართვას სკოლის საჭიროებაზე დაფუძნებით, რომელიც პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკით იმართება და **შესაბამისია ინდიკატორთან.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის პერსონალის შერჩევა ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლის მიერ წარმოდგენილი კონკურსის გამოცხადების ნიმუში ეტაპებით: კონკურსის გამოცხადება, აპლიკაციების გადარჩევა, გასაუბრება და შერჩევა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პერსონალის შერჩევის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების შერჩევის ობიექტურობასა და გამჭირვალობას, პერსონალის პირადი საქმეებში ინახება ცნობა კანონმდებლობის შესაბამისად, **თუმცა ყველა დასაქმებულს არ აქვს წარმოდგენილი ცნობები: ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები. პერსონალის** საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციებში, ხოლო შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები კი შესაბამისია აღნიშნული დოკუმენტის მოთხოვნებთან, გარდა გარკვეული შემთხვევებისა. დღევანდელი მონაცემების მიხედვით, სკოლას ყავს 18 უფროსი, 3 წამყვანი, 2 უსტატუსო მასწავლებელი. მასწავლებელი ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოდგენილი პირადი საქმეების მიხედვით პერსონალის კვალიფიკაცია სრულად არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ამიტომ, სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამის გეგმაში მითითებულ ვადაში, 31/12/2025-მდე წარმოადგინოს დასაქმებულების ცნობები ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნებები მეტწილად შეესაბამება სტანდარტს.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

პერსონალის (კერძოდ, რამდენიმე მასწავლებლის) კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს: სკოლაში დაწყებით საფეხურზე დასაქმებულია 2 უსტატუსო მასწვლებელი, სპორტის საათები დაწყებით საფეხურზე შეთავსებული აქვს 4 მასწავლებელს, რომლებსაც აღნიშნულ საგანში არ აქვთ კვალიფიკაცია დადასტურებული. სასწავლო წლის განმავლობაში სკოლას დაწყებითი კლასების მასწავლებლის ვაკანსიები ორჯერ აქვს გამოცხადებული, თუმცა ვერ მოხერხდა კვალიფიციური კადრების დასაქმება. სპორტის მასწავლებელზე კი არ არის გამოცხადებული ვაკანსია.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ამიტომ, სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 22/07/2026 უზრუნველყოს დაწყებით საფეხურზე სპორტისა და კომბინირებული საგნების კომპეტენტური კადრების დასაქმება.

შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმებისა და შეფასების რუბრიკების შემუშავება. სკოლის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს. სკოლის სტრუქტურული ერთეულები მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, იყენებენ თანამშრომლობით პრინციპს. სტრუქტურული ერთეულები დამოუკიდებლად მოქმედებენ, იღებენ გადაწყვეტილებებს. მართვის მონაწილეობითი სტილი და ორგანიზაციული კულტურა მიზნად ისახავს ურთიერთთანამშრომლოგით გარემოს. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში წარმატებული გამოცდილების აღიარება და გამოცდილების გაზიარება ხდება: გაკვეთილებზე ერთმანეთთან დასწრების, უკუკავშირის, ერთობლივი პროექტებისა თუ ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების გზით. ასევე სკოლის ადამიანური რესუირსების მართვის დოკუმენტში გაწერილია წახალისებისა და აღიარების მთელი რიგი საკითხები, მნიშვნელოვანია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესებში მასწავლებელთა თუ დირექციის მაღალი ჩართულობა, რითაც დასტურდება **ინდიკატორის შესაბამისობა.**

დასტურდება(მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- ადამინური რესურსების მართვის დოკუმენტი

- სტრუქტურული ერთეულების ოქმები
- ურთიერთდასწრების დამადასტურებელი დოკუმენტები
- საკონკურსო დოკუმენტაცია
- მასწავლებელთა ვაკანსიების გამცოხადების ვებ-გვერდი www.teacherjobs.ge

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის/მონიტორინგის პროცესს. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებით. სკოლაში არსებობს ურთიერთდასწრების პრაქტიკა. მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის განვითარების ხელშეწყობას ახორციელებს დირექცია და ხარისხის განვითარების ჯგუფი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

,,ადმიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“ არეგულირებს თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარებაზე ზრუნვის მეთოდებს, წახალისების, აღირებისა და თანამშრომლობის პრინციპებს. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის შეფასება ხორციელდება მათ მიერ შესრულებული დავალებების ხარისხის შემოწმებით. მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების, მასწავლებელთა თვითშეფასების, უკუკავშირის საფუძველზე კათედრის სხდომაზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები. მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად იგეგმება სხვადასხვა აქტივობა. მათ შორის: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარება, მასწავლებელთა გადამზადება და ა. შ. რაც შეეხება სკოლაში დასაქმებულ სხვა პერსონალს, დირექციასთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მათზე სისტემატურად ხორციელდება მონიტორინგი ძირითადად დაკვირვების და ხელშეკრულებებში გაწერილი მოვალეობების შესრულების ხარისხით. ასევე კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლა ადგენს, რა მიმართულებით სჭირდება პერსონალს განვითარება-გადამზადება. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლაში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებლები ჩართულნი არიან როგორც სავალდებულო ტრენინგებში, ასევე სხვადასხვა პროექტების მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებში, სემინარებსა და ქოუჩინგში. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარების მიზნები, რომლის ფარგლებშიც სკოლა მხარდაჭერას უცხადებს პერსონალს, მისი როგორც პროფესიული განვითარების ასევე კარიერული ზრდის მიმართულებას. რაც ბუნებრივია სასკოლო გარემოს გაუმჯობესებასა და მოსწავლის აკადემიური ცოდნის ამაღლებაზე იქნება ორიენტირებული. სკოლას ჰყავს 18 უფროსი, 8 წამყვანი მასწავლებელი, მასწავლებლები მონაწილეობენ სავალდებულო და სხვადასხვა ტრენინგსა თუ აკრედიტებულ პროგრამაში. პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლა დროულად იძიებს და აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი ტრენინგებისა და აქტივობების თაობაზე. USAID-ის პროგრამის ფარგლებში

გადამზადდა დაწყებითი კლასების 2 მასწავლებელი, რომლებიც აქტიურად უზიარებენ გამოცდილებას თავიანთ კოლეგებს . **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორთან შესაბამისია.**

..

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში გამოყენებულია ადაპტაციისა და სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცესი. სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა, როგორც მიღების, ასევე გათავისუფლებისა და წახალისების გამჭვირვალე სისტემა, რაც ასახულია სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. სკოლას აქვს კარგი გამოცდილება, სასკოლო კულტურის ნაწილად ქცეული ტრადიცია, რომელიც ხელს უწყობს ახალ თანამშრომელს ადვილად ადაპტირდნენ სასკოლო გარემოსა თუ სასკოლო საზოგადოებასთან. ამის დასტურია ბოლო წლების მანძილზე მიღებული თანამშრომლები. მათთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი თავს სასკოლო გუნდის განუყოფელ ნაწილად, სრულფასოვან წევრებად თვლიან. ახალ კადრებს აცნობენ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის კულტურასთან შეგუების პროცესს. სკოლის პერსონალისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია. ახალი მასწავლებლის გარემოსთან სოციალიზაციის ეტაპები გაწერილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი შესაბამისია სტანდარტთან

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე სკოლა მონაწილეობს სხვადასხვა ტიპის პროექტებში, რასთანაც დაკავშირებულია პერსონალის ინიციატივები და მათი ჩართულობა პროექტებში. სკოლის კათედრებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიურებით კი გამოჩნდა მიგნება სკოლის დირექციის მხრიდან, მათი მხარდაჭერა თუ წახალისება სხვადასახვა დროს. სკოლის შინაგანაწესში გაწერილი წახალისების ფორმები **შესაბამისობაშია ინდიკატორთან .**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ხარისხის ჯგუფის დებულება**
- **ურთიერთდასწრების მასალები;**
- **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;**
- **სკოლის შინაგანაწესი**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (დირექტორის ბრძანება #01-03/16, 27/09/2024), რომელშიც გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები, სკოლაში მიმდინარე მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; დოკუმენტი ასევე მოიცავს ხარისხის

უზრუნველყოფის წესს, სკოლაში მიმდინარე პროცესების რისკების შეფასებას, შეფასებისა და მონიტორინგის განხორციელებას. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობას, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობლებთან კომინიკაციის გააქტიურებას და ა.შ. ამ მიმართულებების მართვა არის ერთი მთლიანი პროცესი, რომელიც რეგულირდება სასკოლო კურიკულუმით, სკოლის შინაგანაწესით და სხვა. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სკოლის პერსონალს გააზრებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია. აღნიშნული დასტურდება ასევე ოქმებით, მასწავლებელთა რეფლექსიებითა და კათედრების პორტფოლიოებით.შესაბამისად, საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ასევე სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც სრულად აღწერილია სასწავლო პროცესი, ასევე სკოლამ წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხრადაჭერის მართვის დებულებაც. თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა გამოხატულია შემდეგი პროცესებით: დაკვირვება, შეფასება, უკუკავშირი, მხარდაჭერა. ასევე კათედრის დებულება, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ამსახველი დოკუმენტები-ოქმები, ბრძანებები, ფოტომასალა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების დანერგვისას სკოლა აღნიშნულის თანმიმდევრულად მიყოლის შემთხვევაში მიიღებს სისტემატიზაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი: ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, სამოქმედო გეგმა, სტატეგიული განვითარების გეგმა, ადამიანური რესურსების მართვის, გასათვალისიწინებელია დოკუმენტებში აღწერილი პროცესები, რომელიც სხვადასხვა აქტივობებად განხორციელებული და დანერგილი აქვს სკოლას შესაბამისია ინდიკატორთან და ემსახურება საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ მმართველობით, ძირითად თუ დამხმარე პროცესებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი განცხადებებისა და საჩივრის განხილვის ვადები და პროცედურები, პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურების ფუნაცია-

მოვალეობები. ასევე ცალკეული პროცედურული საკითხები დარეგულირებულია სკოლის შინაგანაწესით. თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების სურვილის შემთხვევისთვის, ასევე, საჩივრის განხილვის ეფექტურობისთვის სკოლაში მუშაობს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. კონკურსების შემთხვევაში იქმნება საპრეტენზიო კომისია. დანერგილია სემესტრული ნიშნის გასაჩივრების მექანიზმი და პროცედურა. ეს პროცედურა აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის თანამშრომლების და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი დაცვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით. სკოლას ასევე დამტკიცებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუემენტი, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, გამოყოფილი ყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას. გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები. სკოლის საზოგადოების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლა თავისი კომპეტენციის ფარგლებში სრულყოფილ ინფორმაციას აწვდის შესაბამის ადრესატებს, კერძოდ, სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის ცხელი ხაზის ნომერი - 112. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების უფლებების დაცვას და შესაბამისია ინდიკატორთან. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი**
- **სკოლის შინაგანაწესი**
- **კათედრის დებულება**
- **სტრატეგიული განვითარების გეგმა**
- **სამოქმედო გეგმა**

- **ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი**
- **განცხადებებისა და საჩივრის განხილვის წესი**

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულები - პედაგოგიური საბჭო, კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები მონაწილეობენ მართვის პროცესებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, ასევე სკოლა მუდივ კომუნიკაციაზეა მათთან და შეთანხმებისამებრ მოქმედებს მათი უკუკავშირის მიხედვით, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმებით. სკოლა ერთ-ერთ საშუალებად ელექტრონულ ჟურნალს განიხილავს, უფრო მშობლებთან კომუნიკაციისა და მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით. სკოლას აქვს საიტი, რომელიც მუშაობს გამართულად და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს ინფორმაციის მიღების საშუალება. სკოლის დირექიცასთან ინტერვიურების მიგნებად გვაქვს - აქტიურად გამოყენება ხდება სოციალური ქსელის მიმოწერის და უფრო მარტივ საშუალებად მიიჩნევა. აღნიშნული მექანიზმები იძლევა სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების საშუალებას, რაც **შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში, ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად წარმოდგენლია ყველა კოლეგიალური ორგანო, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში თუ სკოლის მართვის პროცესებში ჩართულობა. კანონმდებლობით გათვლისწინებული კოლეგიალური ორგანოების არსებობა და მათი უფლება-ვალდებულებები უზრუნველყოფს ინდიკატორის შესაბამისობას და **დგინდება შესაბამისობა ინდიკატორთან.**

(მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის ელექტრონული ჟურნალი;**
- **სკოლის ვებ-გვერდი;**
- **სოციალური გვერდი;**
- **ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პლატფორმა;**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის**

განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სკოლამ წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (01/-5/2025 #MIA 8 25 01305764). სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, მოსწავლის, მასწავლებისა და მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, დანიშნული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმეგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს თავის საქმინობის შესაბამისად მოსწავლეთა უსაფრთხოებას. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო დაფა შესაბამისი ინვენტარით. ასევე შენობის ყოველ სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. სკოლაში კონტროლდება გარეშე პირთა ვიზიტი (ყოველი ასეთი ვიზიტის დროს ვიზიტორი ვალდებულია სკოლის დარაჯს აცნობოს სკოლაში მისი ვიზიტის აუცილებლობა, რისთვისაც გამოყოფილია და იწარმოება სპეციალური ჟურნალი. სკოლაში დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული არიან უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები: მორიგე მასწავლებლები, სკოლის დარაჯი, დირექცია და დამრიგებლები, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. გაკვეთილების მიმდინარეობისას დერეფნებში მორიგეობენ მასწავლებელები. მორიგეობის განრიგი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილებზე. დამრიგებლები ადგენენ მოსწავლეთა გაცდენის მიზეზს და უნებართვო გაცდენების შემთხვევაში აცნობებენ სამსახურეობრივი ბარათის საშუალებით გაცდენების შესახებ დირექციას.

სკოლა ვიზუალური დათვალიერებით არ არის კეთილმოწყობილი. საკლასო ოთახებში დატოვებულია შეშის ღუმელის მილები, რომელიც უსაფრთხოდ არ არის შეფუთული. სკოლას არ აქვს ვიდეო-სათვალთვალო კამერები. კამერების შესყიდვის მიზნით სკოლამ შუამდგომლობით მიმართა ადგილობრივ რესურსცენტრს (წერილი #MES 6 19 00388594, 03/04/2019), თუმცა დღემდე ეს პრობლემა მოგვარებული არ არის. სკოლა არ არის შემოღობილი, შესაბამისად არ არის საზღვარი დაცული სკოლასა და მეზობლად მოსახლე ოჯახს შორის. სკოლამ ვერ წარმოადგინა

- **სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ**
- **უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი**

დასტური (თუმცა სკოლას საქმისწარომება დაწყებული აქვს და წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან დადებული მომსახურების ხელშეკრულება).

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია უფლებამოსილ ორგანოსთან (საფუძველი: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის წერილი #MIA 8 25 01305764, 01/05/2025).

არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა **სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, რომელიც არის დადებითი.**
სკოლამ წარმოადგინა ასევე შესაბამისობის გეგმა, რომლის საფუძველზე სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 22/07/2027 -მდე:

ა) სკოლის უფლებამოსილ უწყებასთან შენობანაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთა შესაბამისობის შესახებ მიმართვა.
ბ) ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის უზრუნველყოფა.

გ) სკოლის შემოღობვა

ინდიკატორი ნაწილობრივ არის სტანდარტთან შესაბამისობაში.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას ყავს კვალიფიციური ექთანი, ასევე აქვს პირველადი დახმარების მედიკამენტებითა და ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. ექთანი, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. სკოლას დამტკიცებული აქვს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი: დირექტორის ბრძანება #01-03/24. 27/09/2024). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ მიხედვით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ მიხედვით, სავალდებულო ინვენტართაგან სკოლას არ აქვს შეძენილი: <u>მხედველობის ცხრილი, ასევე კაბინეტში არ დგას კომპიუტერი.</u>

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შედეგად ინიკატორი შესაბამისობაშია. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ფოტო-მასალა, რომლითაც დასტურდება ხარვეზის აღმოფხვრა.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სკოლის შიდა რეგულაციებით: შინაგანაწესი, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება, ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, შემუშავებულია საერთო სივრცეების სარგებლობის წესები. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ ძალადობის შიდა ინსტრუქცია და გამოყოფილია ძალადობის იდენტიფიცირებაზე და რეფერალზე პასუხისმგებელი პირი. კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას, მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას, მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების მოკვლევასა და შესაბამის რეაგირებას, მშობელთა დამოკიდებულებებს და პასუხისმგებლობას შვილების მიმართ. მათი მხრიდან ხშირად იგეგმება და ხორციელდება პროექტები მშობელთა ჩართულობით, იმართება პრევენციული ღონისძიებები ბულინგისა და ნაადრევი ქორწინები საწინააღმდეგოდ. სკოლას დამტკიცებული აქვს ბავშვთა მიმართა ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები, რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი სკოლის უფლება-მოვალეობები ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის მიზნით. დოკუმენტში გაწერილია დასაქმებულთა ვალდებულებები ბავშვზე ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში, ზედამხედველობის პროცესი და კონფიდენციულობის დაცვის მექანიზმები. სადამრიგებლო პროგრამების გათვალისწინებული აქტივობები ხელს უწყობს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. **სკოლას ეძლევა რჩევა,** შეიმუშაოს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში დაცული არ იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები: სკოლის საპირფარეშოები, საკლასო ოთახები, დერეფნები, სააქტო დარბაზი იყო მოსაწესრიგებელი და დასასუფთავებელი. სკოლას ემსახურება 4 დამლაგებელი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულებები. მათში გაწერილია დამლაგებლების უფლება-მოვალეობები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის საფუძველზე სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 15/09/2025-მდე უზრუნველყოს ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება.

ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეთა, თანამშრომელთა, მშობელთა პერსონალურ მონაცემთა დაცვას ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის პოლიტიკის'' დოკუმენტის, საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით (01-03/20, 27/09/2024) დამტკიცებულია ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს, მათ დამუშავებას კანონის შესაბამისად.. მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ასევე, პერსონალური მონაცემები შენახულია ციფრულადაც, რომლის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. მშობლისთვის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა ხდება ელექტროჟურნალის საშუალებით კონკრეტული მშობლისთვის განკუთვნილ სივრცეში, სადაც მხოლოდ თავისი შვილის/შვილების ქულებს და განმავითარებელ კომენტარებს ნახულობს. **თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება.**

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა ხულოს რესურსცენტრის უფროსის ბრძანება #01-06/32, 27/03/2025-სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაშვილების საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ. ასევე წარმოადგინს სკოლის დირექტორის ბრძანება #01-03/4, 28/03/2025 - პესრსონალურ მონაცმეთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობისა და ანგარიშვალდებულების განსაზღვრის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა იღებს შესაბამის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომებს, იმ ელექტრონული თუ მატერიალური დოკუმენტების დასაცავად, სადაც ინახება მონაცემები სუბიექტების შესახებ ინფორმაცია. სკოლა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, პროგრამაში (განათლების მართვის სსისტემის მიერ ლიცენზირებული) არსებული მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ სკოლაში დასაქმებული პირებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი. უსაფრთხოების საკითხები გათვალისწინებულია სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში, აღნიშული საკითხები ასევე განხილულია დირექტორის ყოველწლიურ ანგარიშებში. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლაში არ ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის მოვალეობაა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაცემა, ამასთან სკოლას არ აქვს ვიდეოსათვალთვალო კამერები, სკოლის ტერიტორია არ არის შემოსაზღვრული,

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 31/12/2025-მდე უზრუნველყოს:
ა) უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს შექმნა
ბ) უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტების მობილიზება
გ)ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექნიზმების ფუნქციონირების შეფასება
ინდიკატორის მოთხოვნების მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **შინაგანაწესი;**
- **პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის პოლიტიკის დოკუმენტი;**
- **უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფის ბრძანება;**
- **ხელშეკრულებები დასაქმებულებთან;**

- **სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსთან გაფორმებული ხელ-ბა;**
- **საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა, საჯარო რეესტრიდან ამონაწერის შესაბამისად ფლობს 3597.00 კვ.მ მიწის ფართობს, რომელზედაც ერთ მისამართზე განთავსებულია სასწავლო და დამხმარე შენობა ნაგებობები. სულ 4 შენობა ნაგებობა: N1 ფარითი - 1629 კვ.მ; N2 1431 კვ.მ N3 40.00 კვ.მ, N4 57.60 კვ.მ. **მატერიალური რესურსის თვალსაზრისით, სკოლის საკუთრებაშია:** 185 მერხი და სკამი,9 პროექტორი, 5 პრინტერი, 22 ლეპტოპი და 13 პერსონალურ კომპიუტერი. შენობა არის 3 სართულიანი, სკოლაში ამ ეტაპზე ირიცხვება 61 მოსწავლე, სკოლა ავტორიზაციას ითხოვს - 250 მოსწავლეზე. სკოლის შენობის უკანა ეზო არ არის შემოღობილი და არ აქვს საზღვარი მეზობელ მოსახლესთან. შენობის პირველ სართულზე განთავსებულის 4 საკლასო

ოთახი, ბოოლოგიი კაბინეტი, რესურსოთახი. ბიბლიოთეკა, ექთნის კაბინეტი. მე-2 სართულზე: ქიმიის, ხელოვნებისა და ფიზიკის კაბინეტების და 3 საკლასო ოთახი; მე-3 სართულზე: კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, გეოგრაფიის კაბინეტი და 5 საკლასო ოთახი. სამივე სართულზე განთავსებულია საპირფარეშოები.

საკლასო ოთახებში განთავსებულია მოძველებული მერხები და სკამები, თუმცა სკოლას მიღებული აქვს ახალი ინვენტარი, რომელსაც გამოიყენებს ახალი სასწავლო წლიდან.

სკოლას აქვს 2 სპორტული დარბაზი და ერთი ღია მოედანი. პირველ სართულზე მდებარეობს ძირითადი სავარჯიშო დარბაზი, რომელიც ნორმალურ მდგომარეობაში და ინვენტარიც საკმარისია. მეორე დარბაზი, რომელიც მოწყობილია ჭიდაობისთვის, მდებარეობს მე-2 სართულზე. თუმცა ასასვლელი კიბეები არ არის უსაფრთხო მდომარეობაში. დარბაზს არ იყენებენ სასწავლო პროცესისთვის. ღია სპორტული მოედანი ნორმალურ მდგომარეობაშია.

ყველა სართულზე დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები, სკოლას არ აქვს ვიდეო-კამარები. რესურსოთახი ოთახი აღჭურვილია რბილი ავეჯით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, კარადით, მოსწავლეთა ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით, თვალსაჩნოებით. ექთნის ოთახი სათანადო ინვენტარით. მეორე სართულზე განთავსებულია სამასწავლებლო, რომელიც აღჭურვილია ავეჯითა და კომპიუტერული ტექნიკით, დირექტორის კაბინეტი, საქმისმწარმოებლის კაბინეტი, კომპიუტერულ კაბინეტში არის 9 ცალი კომპიუტერი.სკოლა დაფარულია wifi ინტერნეტით, ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტქსელში. სკოლის ბიბლიოთეკა შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, ინგლისურენოვანი წიგნები, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. სკოლა მუდმივად ანახლებს ბიბლიოთეკას როგორც სკოლის ბიუჯეტით, ასევე გამარჯვებული პროექტების დაფინანსებით.

სკოლას აქვს განახლებული ხელოვნების კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია თექაზე მუშაობისთვის საჭირო მასალებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკის დებულებაში კი გაწერილია სკოლის ბიბლიოთეკის გამოყენების წესები. **ინდიკატორთან შესაბამისია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც განსაზღვრავს: ბიბლიოთეკის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და ფუნქციებს, ბიბლიოთეკაში რეგისტრაციისა და წიგნების გატანა/დაბრუნების წესებს, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს, მკითხველის უფლება-მოვალეობებს, ბიბლიოთეკაში დაცული მასალების აღრიცხვისა და დაცვის წესს. ბიბლოთეკაში გამოკრულია სარგებლობის წესი და მუშაობის განრიგი. წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში. შემთხვევითობის პრინციპით წიგნების შემოწმების შედეგად დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია ბიბლიოთეკის დებულებით განსაზღვრულია ,,ბიბლიოთეკაში დაცული მასალების აღრიცხვისა და დაცვის წესის" შესაბამისად. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის სასკოლო სახლმძღვანელოების უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში გადაცემას, რაზეც ფორმედება ხელშეკრულება სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერი წარმომადგენელს შორის. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორთან შესაბამისია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ უზრუნველყოფს სწავლების ინკლუზიურობას. კერძოდ, სკოლის ძირითადი შენობის შესასვლელი ადაპტირებულია, სკოლას აქვს საჭირო სასწავლო მასალებით და ინვენტარით აღჭურვილი რესურსოთახი, რომელიც განთავსებულია პირველ სართულზე. ადაპტირებული სველი წერტილი გათვალისწინებული არ არის არც ერთ სართულზე. მათ შორის ლაბორატორიები, განთავსებულია შენობის მეორე და მესამე სართულებზე, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია ვადები ხარვეზის აღმოსაფხვრელად.
ინდიკატორის მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. კერძოდ, სკოლის ეზო, სპორტული ინფრასტრუქტურა, ნათელი და ფართო დერეფნები, სააქტო დარბაზი და კომპიუტერული ლაბორატორია, რომლებსაც მოსწავლეები გამოიყენებენ სხვადახვა სახის სოციალური, კულტურული, და შემეცნებითი აქტივობების განსახორციელებლად. **შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის მასალები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას 13 პერსონალური კომპიუტერი; 22 ლეპტოპი; 9 პროექტორი; 5 ქსეროქსი/პრინტერი. აღნიშნული ინვენტარი განლაგებულია შესაბამის ლოკაციაზე (დირექცია, კანცელარია,). კომპიუტერულ ლაბორატორიაში განლაგებულია 9 პერსონალური კომპიუტერი; სკოლის თითოეული თანამშრომელს, მოსწავლეს შეზღუდვის გარეშე აღნიშნულ ლოკაციებზე შეუძლიათ ისარგებლონ ტექნიკით. კომპიუტერების ოთახში არსებული კომპიუტერები ჩართული იყო განათლების მართვის საინფორმაციო ქსელის ინტერნეტში ჩართული, სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიები, მოსწავლეთა და თანამშრომელთა რაოდენობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას და **შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომლის მიზანიც სკოლაში არსებული მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა, ინდიკატორი შესაბამისობაშია, რადგან მოსწავლებლებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომობის შეფასების შესაძლებლობა მიეცა ექსპერტთა ჯგუფს ვიზუალური დათვალიერების დროსაც. **შესაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტექნიკის შესყიდვის მასალები;
- ლაბორატორიებით სარგებლობის წესი;
- ინვენტარიზაციის მასალები;
- ვიზუალური დათვალიერება
- მიღებაპ-ჩაბარების აქტები

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლამ წარმოადგინა ,,საქმისწარმოების წესი'' , სკოლაში აღირიცხება ბრძანებები და შრომითი ხელშეკრულებები. სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემას E-flow''-სა და Eschool-ის ბაზებს. სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადითა და წესით ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები. საშტატო განრიგით გათვლისიწინებული ჰყავს საქმისმწარმოებელი.
ინდიკატორი შესაბამისია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. საქმისწარმოებათან დაკავშირებით, სკოლა იყენებს E-flow სისტემას, სადაც ტარდება კორესპონდენციები, ბრძანებები, წერილები, განცხადებები , სამსახურებრივი ბარათები. სკოლას აქვს ვებ-გვერდი პორტალზე : skolebis.emis.ge, სკოლა სარგებლობს სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემით (ESCHOOL), რომელშიც დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომლების პერსონალური ინფორმაცია და ბაზები. სკოლას აქვს მეილი: okruashvilebi@mes.gov.ge **აღნიშნული შესაბამისია ინდიკატორთან.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. საქმისწარმოებათან დაკავშირებით, სკოლა იყენებს E-flow სისტემას, სადაც ტარდება ყველა კორესპონდენცია, ბრძანებები, წერილები, განცხადებები, სამსახურებრივი ბარათები. სკოლას აქვს ვებ-გვერდი - სკოლა სარგებლობს სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემით (ESCHOOL), რომელშიც დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომლების პერსონალური ინფორმაცია და ბაზები. სკოლას აქვს მეილი. **აღნიშნული შესაბამისია ინდიკატორთან.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლაში რეგულარულად ხდება სკოლის სხვადასხვა რგოლის წარმომადგენელთა ანგარიშების შექმნა, მათი მხრიდან გაწეულ საქმიანობაზე დაკვირვება, შეფასება და ანგარიშგება. კერძოდ, პირველი სემესტრისა და წლის ბოლოს პედაგოგიური საბჭო განიხილავს და აფასებს მიღწეულ შედეგებს, გამოყოფენ მიღწევებსა და სირთულეებს, სახავენ სამომავლო გეგმებს. წესისამებრ ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორი წარადგენს სრულყოფილ ანგარიშს, როგორც ფინანსური საქმიანობის ასევე სასწავლო პროცესის შესახებ. **ინდიკატორთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საქმისწარმოების წესი;**
- **ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა;**
- **ელექტრონული ბაზა;**
- **10 დეკემბრის ანგრიშები;**
- **სკოლის ვებ-გვერდი**

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საკომუნიკაციოდ იყენებს და აქვს ვებ-გვერდი, ასევე აქტიური სოციალურ ქსელში/Facebook. სკოლა საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ ირჩევს სხვადასხვა საშუალებებს. მოკლე ტექსტური შეტყობინებები, ელექტრონული ჟურნალი, სატელეფონო საუბარი, კლასებისა და მასწავლებელთა ჯგუფები, მშობელთა ჯგუფები, სადაც მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია, საინფორმაციო დაფები ა.შ აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი შესაბამსიობაშია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლას აქვს აქტიური სოციალური ქსელი და სკოლის ვებგვერდი, რომელიც იხვეწება და თავსდება ინფორმაცია დაწესებულების საქმანობის შესახებ. **ინდიკატორთან შესაბამისია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა ინფორმირების წესი გამჭირვალეა და იძლევა მათგან უკუკავშირის მიღების საშუალებას. სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და სხვა დასაქმებულ პირებთან, რაც უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის დროულად. დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე აწვდიან ინფორმაციას დამატებითი და ინდივიდუალური გაკვეთილებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სასწავლო წლის განმავლობაში. გარდა ამისა, იმართება დამრიგებლისა და უშუალოდ საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან უშუალოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. მასწავლებლების ინფორმირებისათვის გამოიყენება ონლაინ და პირისპირ შეხვედრები, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა, საინფორმაციო დაფები. სკოლის დახურული ჯგუფები, სადაც რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაციები ცვლილებების, დაგეგმილი ღონისძიებების, სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები, რაც უზრუნველყოფს ინფორმირებულობას და უკუკავშირის მიღებას. აღნიშნულ

უკუკავშირზე სკოლას აქვს სათანადო რეაგირება, კერძოდ, ინფორმაციის დამუშავება და ღონისძიებების გატარება. **ინდიკატორთან შესაბამისია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც ჩაშენებულია სკოლების ერთიან საინფორმაციო პორტალზე, რომლის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლაში სწავლების ენა არის ქართული და ინფორმაცია სკოლის ვებ. გვერდზე ქვეყნდება ქართულად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის სოციალური გვერდი;**
- **სკოლის ვებ გვერდი;**
- **სკოლის საინფორმაციო დაფა**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის ბიუჯეტი, რომელიც განხილული და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლის დირექტორის წლიური ფინანსური ანგარიშით დგინდება, რომ ბიუჯეტი შემუშავებულია რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილში. სკოლის ბიუჯეტი ითვალისწინებს სახელფასო, დანამატების, საკანცელარიო და საოფისე, საწვავის და კომუნალურ ხარჯებს. ინფრასტრუქტურისა კეთილმოწყობისა და რესურსების შესყიდვის ხაჯბებს, რაც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით გათვალსწინებული მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებების შეუფერხებელ განხორციელებას და **შესაბამისია ინდიკატორთან.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

წარმოდგენილი მასალებით (შესყიდვები წლიური გეგმა, ბაზრის კვლევა, ფინანსური საქმიანობის ანგარიში, 2025 წლის ბიუჯეტი) დასტურდება, რომ სკოლას აქვს ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება და მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს დირექტორს (ამ ეტაპზე, რადგან სამეურვეო საბჭო არ ყავთ) დასამტკიცებლად. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი

ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა. სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შემუშავება ხორციელდება სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ნოემბრის N 01-03/13 ბრძანებით დამტკიცებული ,,შესყიდვების განხორციელეის წესის'' შესაბამისად. ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი,ბუღალტერი წინა წლის ხელშეკრულებზე დაყრდნობით ადგენს გეგმის პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად. **ინდიკატორი შეასაბამისია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის ბიუჯეტი**
- **სახელმწიფო შესყიდვების გეგმა**
- **ოქმი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;**
- **სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების ბრძანება;**
- **შესყიდვების წესის და ფორმის დამტკიცების შესახებ ბრძანება;**
- **ბაზრის კვლევაზე პასუისმგებელი პირის გამოყოფის შესახებ ბრძანება;**

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმის დოკუმენტში, გაწერილია მოსწავლის უფლებებებისა და თავისუფლებების შესახებ, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობას. დოკუმენტში გაწერილია როგორც მოსწავლეთა უფლებები და თავისუფლებები ასევე მათი დაცვის მექანიზმები. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის კანონით გათვალსიწინებული უფლებების დაცვასა და შესაბამისი გარანტიებს. სკოლის შინაგანაწესი საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის შინაგანაწესსა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებაში გაწერილია მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები. სადამრიგებლო პროგრამები მოიცავს მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის შესაბამის შინაარსს. სკოლა წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ვალდებულებას იღებს მოსწავლის პერსონალური ინფორმაციისა და მისი კანონიერი უფლებების დაცვაზე. ამასთანავე, სკოლაში შექნილია დისციპლინური კომიტეტი და სამეურვეო საბჭო, სადაც მოსწავლეები ახდენენ თავიანთი უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას. კანონმდებლობის შესაბამისად ტარდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები.
სკოლას ჰყავს დარაჯი, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, მორიგე მასწავლებლები. შედგენილია მორიგე მასწავლებელთა მუშაობის განრიგი. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანწესი, რომელიც მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ, გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე სკოლის შინაგანაწესი გამოქვეყნებულია სკოლის საიტზე და ნებისმიერი დაინტერესბული პირისთვის ხელმისაწვდომია. ხელშეკრულებაში მშობელსა და სკოლას შორის გაწერილია მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული რეგულაციები. სასკოლო საზოგადოების წევრებთან მისი გაზიარების საშუალებებად, სკოლა, კლასის მოსწავლეების მშობელთა კრებებსა მიიჩნევს. ასევე გამოქვეყნებულია სკოლის ვებ.გვერდზე. წლის დასაწყისში, სადამრიგებლო საათზე, მშობლებს აცნობენ შინაგანაწესს, ასევე მოსწავლეები დამრიგებელთან ერთად შეიმუშავებენ ქცევის წესებს, რომელიც გამოკრულია საკლასო

ოთახში საორგანიზაციო საკითხებთან ერთად. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „საჩივრისა და განცხადებების განხილვის წესი“ არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების პროცედურას. მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლის ტერიტორიაზე ეკრძალებათ უცხო პირებს გადაადგილება, გარდა ამისა, მოსწავლეთა მშობლების ცნობიერების ამაღლების მიზნით , დამრიგებლებს აქვთ სხვადასხვა სახის კომუნიკაცია მშობლებთან, მაგალითად სოციალურ ქსელში, სატელეფონო საუბრებით და სხვა. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

- სკოლას შემუშავებული აქვს და დირექტორის მიერ დამტკიცებული „მშობელთან ურთიერთობის (კომუნიკაციის სტრატეგია) #01-03/25, 27/09/2024. სკოლის თითოეული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. მკაფიოდაა გაწერილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და გამოყენების პირობები. ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია სკოლის შინაგანაწესი და აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. ხელშეკრულება ხელმოწერილია დირექტორისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- მშობელთან დადებული ხელშეკრულებები;
- მშობელთან ურთიერთობის სტრატეგია
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მექანიზმები;

- მშობელთა კრების ოქმები;
- საჩივრებისა და განცხადებების განხილვის წესი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**
- სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“, 01-3/15, 27/09/2024;

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესები შესაბამისია კანონმდებლობასთან და სკოლის სხვა შიდა რეგულაციებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები გამჭირვალე და მკაფიოა, რაც შესაბამისია ინდიკატორთან. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. საფეხურის დაძლევის მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში და მოსწავლეთათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის ხდება მოსწავლის მიერ საფეხურის დაძლევის შესახებ (თუ როგორ მოხდება საფეხურის დაძლევა) ინფორმაციის მიწოდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას. კერძოდ, მოსწავლის ჩარიცხვა სკოლაში ხდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების

საფუძველზე. პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია ხდება ელექტრონულად სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტით, რომელშიც გამოყოფილია სსსმ მოსწავლეთა კვოტაც. თუ მოსწავლე გადმოდის მობილობით, ასეთ შემთხვევაში მშობლის განცხადების შემდეგ სკოლა ელექტრონული ფორმით მოთხოვნას უგზავნის გამშვებ სკოლას და იღებს მისგან დასტურს, რის საფუძველზეც ხდება მოსწავლის ჩარიცხვა. ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად მოსწავლეს კლასი და საფეხური დაძლეულად ეთვლება იმ შემთხვევაში, თუ მისი წლიური შეფასება არის 5 და მეტი ქულა. სტატუსის შეჩერების საფუძველი არის მშობლის განცხადება, მოსწავლის მიერ სკოლის ზედიზედ 45 დღის განმავლობაში გაცდენა. ამ შემთხვევაში კლასის ხელმძღვანელი აწარმოებს მოკვლევას მიზეზების შესახებ და ანგარიშს წარუდგენს სკოლის დირექტორს. მოკვლევა ხორციელდება გაცდენიდან 10 და 20 დღის გასვლის შემდეგ. ყველაფერი ეს დადასტურდა ემისის ბაზის შემოწმების შედეგად და ინტერვიუს შედეგებით. **ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მიერ დაინტერესებული მხარეებისთვის შეთავაზებული საგანმანათლებლო მომსახურების სახეების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ხდება საინფორმაციო დაფებზე გამოკვრით, პირადი შეტყობინებებით, სოციალური ქსელის ჯგუფებში განთავსებით. დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ სასწავლო წლისთვის შექმნილი და გაწერილი აქტივობები, რესურსები, ღონისძიებები, პროექტები, სპორტული ღონისძიებები და სხვა მსგავსი აქტივობები, არის მოსწავლეებზე მორგებული, უსაფრთხო და არადისკრიმინაციული; ხდება ყველა მოსწავლის ჩართვა ამ აქტივობებში - ეს ინფორმაცია არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი. მოსწავლეების ინფორმირება ხორციელდება დამრიგებლის ან სხვა საგნის მასწავლებლის მიერ, ასევე სკოლის ადმინისტრაციის მიერ ზეპირსიტყვიერი მითითებით.

ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი უზრუნველყოფს, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობების და რესურსების შესახებ იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. აღნიშნული საკითხი დასტურდება სტრუქტურული ერთეულების ოქმებით, პროექტებით. სკოლის პერსონალის ან მასწავლებლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია დაგეგმილი თუ განხორციელებული აქტივობების შესახებ არის თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული. ყველა აქტივობა არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული . სკოლის ფოეიში საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ფბ გვერდზე ქვეყნდება მსგავსი ტიპის ინფორმაცია. **ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;
- კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანება;
- შინაგანაწესი;
- სასკოლო კლუბების დებულებები;
- დისციპლინური კომიტეტი;
- მშობლის ხელშეკრულება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის ადაპტაციი წესი, ბრძანება 01-3/22, 27/09/2024. აღნიშნული წესით, სადამრიგებლო პროგრამებითა და ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლა მრავალფეროვან აქტივობებს მიმართავს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მიზნით. მოსწავლის გარემოსთნ ადაპტაციაზე ზრუნავს დამრიგებელი. კლასის დამრიგებელი მობილობით გადმოსულ მოსწავლეს აცნობს სკოლის შინაგანაწესს. ათვალიერებინებს სკოლას. აცნობს მასწავლებლებს. გადასცემს წიგნებს. პირველკლასელების ადაპტაციის მიზნით სკოლა თანამშრომლობს საბავშვო ბაღთან, თემთან. იწვევენ მომავალ მოსწავლეებს და გეგმავენ აქტივობებს.

ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სასწავლო წლის დაწყებამდე მასწავლებლები სტუმრობენ ბაღში და ეცნობიან მომავალ პირველკლასელებს. ახალ სასწავლო წელს პირველკლასელების მისაღებად სკოლა ატარებს ზეიმებს, რათა პატარებს დადებითი ემოცია გაუჩნდეთ სკოლისადმი. ინტერვიუდან ირკვევა, რომ როდესაც ახალი მოსწავლე გადმოდის, ხელი ეწყობა მის ადაპტაციას სკოლასთან, შესაბამის კლასთან და ძირითადად ამ ფუნქციას კლასის დამრიგებელი ითვისებენ. სკოლაში თბილი და მეგობრული ატმოსფეროა. სკოლაში ირიცხება 61 მოსწავლე. ახალი მოსწავლისთვის ადაპტაცია შესაბამისად არ არის რთული. სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის ხელმძღვანელი მოსწავლეებს და მათ მშობლებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმას, სადამრიგებლო პროგრამას, რომელშიც მთელი წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობებია გაწერილი და რაც მშობელთა კრების ოქმებით დასტურდება. თუ მოსწავლე სკოლაში მობილობით გადმოდის მასთან და მის მშობელთან ხდება კლასის

ხელმძღვანელის ან დირექტორის შეხვედრა. მას აცნობენ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო კულტურით გათვალისწინებულ ტრადიციებს, რომელიც სკოლაში აქვთ. თანაკლასელებთან ადაპტაციის პროცესი მიმდინარეობს დამრიგებლის მეთვალყურეობით და საჭიროების შემთხვევაში იგი ახდენს ინტერვენციას. ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალური საუბრები მოსწავლეებთან, სადამრიგებლო საათის ფარგლებში შეხვედრები ან საკლასო პროექტი, რომელშიც ჩართულნი იქნებიან მოსწავლეები და მორგებული იქნება საჭიროებებზე. **ამიტომ, ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

დირექციასთან, მასწავლებლებთან, კლასის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების პროცესში ცნობილი გახდა, რომ კლასის ხელმძღვანელები მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სისტემატიურად აცნობენ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს სჭირდება მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, სკოლა/მასწავლებელი მზად არის მოსწავლეებს შესთავაზოს დამატებით კონსულტაციები, მეცადინეობები, კლასის ხელმძღვანელების მიერ ინფორმირებულნი არიან მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, რომ უფლება აქვთ არ დაეთანხმონ საგნის სემესტრულ შეფასებას და მოითხოვონ ქულის ამაღლების მიზნით გამოცდის დანიშვნა. თუმცა პედაგოგების თქმით მსგავსი პრაქტიკა ბოლო წელებში სკოლაში არ ყოფილა, რადგან მოსწავლეები არ საჭიროებენ მსგავსი ტიპის დახმარებას , რადგან სკოლაში სულ 61 მოსწავლე ჰყავთ. კლასები მცირერიცხოვანია. ისინი დამატებით მეცადინეობას აღარ საჭიროებენ. თუმცა სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის პროგრამა. სკოლა მზად არის საჭიროების შემთხვევაში პრაქტიკაში დანერგოს აღნიშნული პროგრამა. სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული და მხატვრული წრეები, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეები და რომლებიც შექმნილია თვითმმართველობის ინიციატივით. **ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე, ასევე მოსწავლეებთან კლასის კრებაზე ხდება მათთვის უფლებების და მოვალეობების გაცნობა. ამასთან იქვე ეცნობიან უფლებათა განხორციელების მექანიზმებს. სკოლა მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის ინფორმაციას მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის შესახებ, სადაც მომსახურება უფასოა და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი

დახმარება გადამისამართებაში. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, საჭიროების შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე გასცემს ცნობას, დახასიათება/რეკომენდაციას, ნიშნების ფურცელს, რაც ნათლად გამოჩნდა eflow-ს გადამოწმებისას. **ამიტომ, ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

ინტერვიუების დროს მასწავლებლემა და დირექტორმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინიციატივებით ტარდება სპორტული ღონისძიებები, ეწყობა ექსკურსიები და ლაშქრობები. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით ხდება სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩართული მოსწავლეების წახალისება, მათი დაჯილდოება სიგელებით. სასკოლო წრეები შექმნილია მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, რაც დასტურდება შესაბამისი კითხვარებით და ოქმებით.

<u>რჩევა: სკოლას ვურჩევთ შექმნას მოსწაველთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები.</u>

ამიტომ, ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა, რომ დამრიგებლები აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან, აწვდიან მათ სრულ ინფორმაციას მოსწავლის მიღწევებსა და საჭიროებებზე, ასევე უკუკავშირის საფუძველზე ხდება მათი საჭიროებების გათვალისწინება.**ამიტომ, ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პროექტი (საკლასო/სასკოლო)
2. სადამრიგებლო საათის ამსახველი დოკუმენტაცია
3. ბაზების გადამოწმება
4. კლუბების დოკუმენტაცია
5. მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები

6. რემედიაციის დებულება
7. მოსწავლეების მიერ შევსებული კითხვარები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

პროფორიენტაციის მიზნით, სკოლა თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯებთან და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. სკოლა პროფესიულ კოლეჯთან თანამშრომლობით საბაზო საფეხურზე ახორციელებს საორიენტაციო კურსებს, რომელზეც მოსწავლეები ეუფლებიან გიდისა და IT სპეციალისტის უნარ-ჩვევებს. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ასევე მეფუტკრეობის კურსებსაც. დამრიგებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ წელიწადში ერთხელ, მოსწავლეები მიჰყავთ არსებულ დაწესებულებებში, სადაც ისინი აკვირდებიან სასწავლო პროცესს. ეცნობიან სხვადასხვა პროფესიის თავისებურებებს, ხვდებიან პროფესორ-მასწავლებლებს. რომელიც შემდგომში დადებითად აისახება მოსწავლეთა სამომავლო პროფესიის არჩევაზე. , ეწყობა ექსკურსიები სხვადასხვა დაწესებულებებში. **ამიტომ, ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. საბაზო საფეხურის დამლევის შემდეგ მოსწავლეებს და მათ მშობლებს აწვდის ინფორმაციას ამ მიმართულებით განათლების მიღების შესაძლებლობის შესახებ. სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილია შესაბამისი აქტივობები, ასევე სკოლა გეგმავს თემატურ ექსკურსიებს სხვადასხვა დაწესებულებებში, რომლებიც პროფორიენტაციაში ეხმარება მოსწავლეებს. ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ გასულ სასწავლო წელს მასწავლებელმა საბაზო საფეხურის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე წაიყვანა თემატურ ექსკურსიაზე სხვადასხვა დაწესებულებებში, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებელში. მსგავს თემატურ ექსკურსიებს პედაგოგები ყოველ სასწავლო წელს ახორციელებლენ საბაზო და საშუალო საფეხურების დამამთავრებელ კლასში. **ამიტომ, ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ ყოველი შემდგომი სასწავლო წლის დაწყების წინ ხდება წინა სასწავლო წლის შედეგებისა და მონაცემების ანალიზი, რის საფუძველზეც სკოლა ითვალისწინებს წინარე შედეგებს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.აღნიშნული დასტურდება პედაგიური საბჭოსა და კათედრების ოქმებით, დირექტორის ანგარიშებით. **ამიტომ, ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. სადამრიგებლო პროგრამები
3. სასკოლო პროექტები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსსმ. მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება ი.ს.გ ჯგუფი. ი.ს.გ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურადაა ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ი.ს.გ გეგმის შედგენაში.თითოეული მოსწავლისათვის შედგენილი ინდ. გეგმა ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მაქსიმალურად არის მორგებული სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სასწავლო წლის დაწყებამდე, სსსმ მოსწავლე და მისი მშობელი ხვდება კლასის დამრიგებელს, სპეც. მასწავლებელსა და დირექტორს. შეხვედრის მიზანია მოხდეს მოსწავლის ადაპტირება სასკოლო გარემოსთან. სპეციალურმა მასწავლებელმა წარმოადგინა მიმდინარე

წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობები.სკოლა ახორციელებს ასევე ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს, რაც დასტურდება შესაბამის დასკვნებით.

რჩევა: სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს ცალკე დოკუმენტის სახით სსსმ მოსწავლესთან მუშაობის შიდა რეგულაცია.

ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდაჭერის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სასწავლო წლის დასაწყისში სპეც მასწავლებელი აფასებენ თითოეული სსსმ მოსწავლის კოგნიტურ, აკადემიურ, სოციალურ და ფუნქციონალურ უნარებს. პედაგოგებთან და დამრიგებელთან ერთად ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. ერთად ქმნიან საგანმანათლებლო რესურსებს.ისგ ჯგუფის შემადგენლობაში შედიან კლასის დამრიგებლები, მშობლები, საგნის მასწავლებლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან სსსმ მოსწავლეს. ისგ ჯგუფები შეიმუშავებენ ინდ. გეგმას, რომელსაც ითანხმებს სამეურვეო საბჭო და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ.კათედრებს შემუშვებული აქვთ მოდიფიცირებული სასწავლო კურიკულუმები სსსმ მოსწავლეთათვის, აქტიურად რთავენ მათ სხვადასხვა სასკოლო პროექტებსა და ღონისძიებებში. თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული მათი ნამუშევრები. სკოლაში ირიცხება 3 სსსმ მოსწავლე. **ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- საგნობრივი ინდ.გეგმები;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) არ ხორციელდება. **ამიტომ, აღნიშნულ კომპონენტში სკოლა ვერ შეფასდება.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლაში დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ ხორციელდება. **ამიტომ, აღნიშნულ კომპონენტში სკოლა ვერ შეფასდება.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ ხორციელდება. **ამიტომ, აღნიშნულ კომპონენტში სკოლა ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

როგორც კათედრებთან ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, მათ კურიკულუმზე მუშაობის დროს გაითვალისწინეს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის." დოკუმენტის მიხედვითაც კურიკულუმის შემუშავება ხდება ძირითადად მასწავლებლების, დირექციის ჩართულობით და ითვალისწინებს საკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კურიკულუმების შემუშავებას წინ უძღოდა წინა სასწავლო წლის ანალიზი, შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა შედეგები, კათედრების მუშაობა. ამასთან მეთოდოლოგიის მიხედვით, კურუკულუმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, როგორიცაა სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა.ინდიკატორი **2.1.1.1 შესაბამისობაშია**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

კურიკულუმში სასკოლო საზოაგადოების ინტერესების გათვალისწინება იკითხება დამტკიცებამდე სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დოკუმენტაციაში. ასკოლო სასაწავლო გეგმა (დანართებით) დამტკიცებამდე განხილულია კათედრებზე და დირექტორი ჩართულობით წარდგენია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად. **2.1.1.2 შესაბამისობაშია**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასკოლო სასაწავლო გეგმა (დანართებით) დამტკიცებამდე განხილულია კათედრებზე და დირექტორი ჩართულობით წარდგენია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად. ედაგოგიური საბჭოს N 1 სხდომის ოქმით კი მტკიცდება განხილული გეგმის დამტკიცება. **2.1.1.3 შესაბამისობაშია**

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ ხდება შემდეგნაირად: კათედრების ჩართულობით, პედაოგიგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კურიკულუმის გაზიარებას ახორციელებენ მასწავლებელთა მიერ მშობელთა კრებებზე, კოლეგების შეხვედრებზე. **2.1.1.4 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ასკოლო სასწავლო გეგმა;

აგნობრივი კურიკულუმები

ედ საბჭოს ოქმები;

ათედრის ოქმები;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მასწავლებლების მიერ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები. სამივე საფეხურზე შექმნილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება კომპლექსურ დავალებებს და ითვალისწინებს, თუ რა შეძლეს მოსწავლეებმა ამა თუ იმ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა გაიაზრეს და რამდენად მიუახლოვდნენ ისინი სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს კონკრეტულ

	თემაში, კონკრეტული საკითხების შესწავლისას. სკოლის მასწავლებლების მიერ ყოველ საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია საკმაოდ კარგი კომპლექსური/პროექტული დავალებების იდეები. მოსწავლეთა ნაშრომების, მათი ანალიზის, მასავლებლების რეფლექსიების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ეს კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზაა. ჩანს, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. დავალებები ისეა შერჩეული, რომ კონტექსტი ცხოვრებისეულია, დავალება შეიცავს გამოწვევას, ხელს უწყობს შემოქმედებითობის ან ფანტაზის ამუშავებას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმები შექმნილია საგნობრივი სტანდარტის საფუძველზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები.მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით სასწავლო წლის მანძილზე ხდება კურიკულუმების მოდიფიცირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, რაც გამოიხატება დაგეგმილ თემატურ ერთეულში, შუალედურ დავალებებსა და შეფასებებში. გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურება, ინტერესი და შესაძლებლობა.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს და ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. გეგმა ეფუძნება საგნობრივ კომპეტენციებს, საკვანძო უნარების განვითარებას და მოსწავლის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებას.

	სკოლას მიეცა რჩევა: თემების მიხედვით გაიზარდოს კომპლექსური დავალებების რაოდენობა. გაიწეროს დავალებების დამუშავების ეტაპები .თემების. საკითხების და სასწავლო შედეგების კავშირი წარმოადგინონ ინტეგრირებულად სხვადასხვა საგანთან მიმართებით. კომპლექსური დავალების პირობა გადამუშავდეს ისე, რომ იყოს სწორად ფორმულირებული და შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ დონეს. (ხელოვნების კურიკულუმში პირველ, მეშვიდე, მერვე კლასებში და მუსიკის კურიკულუმში). მუსიკის კურიკულუმის ყველა თემაში ასახული იყოს ძირითადი საკითხები და კონტექსტ-მაგალითები, რაც დაეხმარება მოსწავლეს მასალის პრაქტიკულ გაგებაში.
სახელმწიფო ენა	სკოლის სამივე საფეხურის კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებსა და სასწავლო პრინციპებს. კონკრეტული კომპლექსური დავალებების გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ იკვეთება, რომ პედაგოგები კურიკულუმს მოიაზრებენ, როგორც მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესს. პედაგოგები შეძლებისდაგვარად ცდილობენ გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრებას, მეტ-ნაკლებად აცნობიერებენ საფეხურის სასწავლო შედეგების მნიშვნელობას სასაწავლო პროცესში და ცდილობენ მოსწავლეთა ნამუშევრების - როგორც შუალედური სასწავლო მიზნების ანალიზი გამოიყენონ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებისთვის. **2.1. 2.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები აგებულია სამიზნე ცნებების შესაბამისად, ყოველ სასწავლო თემაში მუშავდება მათემატიკის სამივე სამიზნე ცნება. ასევე გათვალისწინებულია სწავლების

	დიფერენცირებული მიდგომა, სსსმ მოსწავლეების საჭიროებები და საბოლოოდ, მათემატიკის კურიკულუმები ეხმარება მოსწავლეს სწავლასა და განვითარებაში. მათემატიკის კურიკულუმებში ძირითადად ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, გათვალისწინებულია შუალედური მიზნები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, ეს ყველაფერი დაფუძნებულია წინარე ცოდნაზე. მაშასადამე, მათემატიკის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმებით და მასში ჩაშენებული შემოქმედებითი ტიპის დავალებებით. **სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**
ფიზ.აღზრდა და სპორტი	ფიზიკური აღზრდის დაწყებითი,საბაზო და შაშუალო საფეხურის კურიკულუმები შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზ ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, გაწერილი სამიზნ ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი აქტივობები ორიენტირებულია მოსწავლ ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წეს პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. **ინდიკატორი 2.1.2.1.1 დადასტურებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში კურიკულუმი ნამდვილად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. იგი ემყარება მოსწავლის ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, ასაკობრივ თავისებურებებსა და თანამედროვე ციფრული ეპოქის მოთხოვნებზე მორგებულ მიდგომებს. კათედრის ოქმის მიხედვით, კურიკულუმების შედგენა მოხდა საგნობრივი თემების, ქვესაკითხების, სამიზნე ცნებების, მოსწავლეთა შედეგებისა და შეფასების ინსტრუმენტების დეტალური ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული პროცესი მოიცავდა კათედრის ყველა წევრის აქტიურ ჩართულობას და ემყარებოდა ეროვნული გეგმით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანებს. წარმოდგენილი კურიკულუმები აშკარად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული

	სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საშუალებას, კურიკულუმში გამოყენებულია აქტიური სწავლების მეთოდები: პრაქტიკული დავალებები, ვიზუალური მოდელირება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება და სხვ.; ● განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ციფრულ წიგნიერებას, ციფრულ მოქალაქეობას, თანამშრომლობას, ინფორმაციის დაცვას და კრიტიკულ აზროვნებას; ● სასწავლო რესურსებად შერჩეულია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ შეთავაზებული/ შეთანხმებული ელექტრონული რესურსები (school.emis.ge, www.code.org, https://scratch.mit.edu და დამხმარე სახელმძღვანელოები); ● შეფასების პროცესი მოიცავს შედეგებზე ორიენტირებულ ანალიზს, რეფლექსიას რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მოსწავლეზე ორიენტირებულობას. **რჩევა:** ● სასურველია ქვესაკითხები /სამიზნე ცნებები უფრო დეტალურად ჩაიშალოს შესაბამისი შემოქმედებითი დავალებებით ● კურიკულუმში დაუმატეთ ფორმულირებები, როგორიცაა: „დავალება ადაპტირდება მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად“ან „სსსმ მოსწავლეებისთვის გამოიყენება ალტერნატიული მეთოდები და შეფასება“ **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე შემავალი საგნების კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების საშუალებას იძლევა. მასში განხილული საკითხები, რესურსები,შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილება. სმოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესძლებელია მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოში სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზნებად წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები. წარმოდგენილია საფეხურის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ცნებები, ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირი ერთმანთთან, ქვეცნებებთან და საკითხებთან. თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილია საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომელიც თემის შინაარს აკონკრეტებს, ამუშავებს სამიზნე ცნებებს, რომელიც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღრული გრძელვადიანი მიზნების შესრულებას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, ასახულია სამიზნე ცნებები, სავალდებულო თემები, საკითხები, ასევე გათვალისწინებულია პროექტული ტიპის დავალებები. სასწავლო პროცესი ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებას. **რჩევა**: სასურველია შემოქმედებით პროდუქტები დაკონკრეტდეს (საკითხი, პროდუქტის დასახელება), კურიკულუმებში აისახოს შესასწავლი საკითხები საათების რაოდენობის გათვალისწინებით. სასურველია, კურიკულუმებში ჩანდეს მიმართებები (სამიზნე ცნება,

	საკითხი, რესურსები) **-სამივე საფეხური.** ჩვენი საქართველო, ისტორია **(საბაზო და საშუალო საფეხური)** - სასურველია გაუმჯობესდეს კონტექსტ-მაგალითები, კურიკულუმებში დაზუსტდეს სავალდებულო თემები (ისტორია, მოქალაქეობა -XII კლ) , ცალკე იქნას გაწერილი საქართველოს ისტორიის კურიკულუმი- XII კლ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: თითოეული საფეხურის კურიკულუმში მოცემული, დაგეგმილი თემატური ერთეული მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზანს. ორივე ენის მიმართულებით, ეს მკაფიოდ ხაზგასმულია.
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივი მიზნები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, მაგრამ ზოგ შემთხვევაში არ ხდება მიზნების თანმიმდევრული დაკავშირება სასწავლო თემებთან და მოსწავლის პრაქტიკულ საქმიანობასთან. ამ მხრივ კურიკულუმი საჭიროებს მეტ სიცხადეს, რათა სწავლება გახდეს უფრო შედეგზე ორიენტირებული და ნაკლებად დეკლარატიული.დავალებები გახდეს უფრო შემოქმედებითი და მრავალფეროვანი, **სკოლას მიეცა რჩევა:** მე-10,მე-11 კლასში პროექტული სწავლებისას საჭიროა თითოეულ თემაში მკაფიოდ განისაზღვროს დასამუშავებელი საკითხები, მათ შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, გაითვალისწინონ საფეხურის საკვანძო კითხვები და საფეხურის მკვიდრი წარმოდგენები
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო მასალა - მხატვრული ტექსტებ შერჩეული თემები, საგნობრივი საკითხები, კომპლექსური ბუნების დავალებები მეტ ნაკლებად ეხმარება მოსწავლეს იდეების, პრობლემების გაცნობიერებასა და განზოგადებაშ მასწავლებელთა მხრიდან დავალებების შესასრულებლად გამოყენებული სასწავლ

	აქტივობები, შესაძლებლობას იძლევა ხელი შეეწყოს მოსწავლეთა ფუნქციურ კომპეტენტური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. იმ თემებში, სადაც სწავლება უნდა განხორციელდეს შემოქმედებითი ტიპის დავალების დახმარებით განსაზღვრულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ასეთი ტიპის დავალებების შესრულება მოსწავლეებისაგან თავისთავად მოითხოვს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების (კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, თანამშრომლობის და სხვა) გააქტიურებას და გაცნობიერებას. **სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**.
ფიზ. აღზრდა და სპორტი	-მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.2 დადასტურებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმის ეყრდნობა ეროვნული გეგმის მიზნებსა და სტანდარტებს —

	განსაკუთრებით ციფრული წიგნიერების, პასუხისმგებლობის, შემოქმედებითობის და ტექნოლოგიური აზროვნების განვითარებას. · თემები გაწერილია სამიზნე ცნებებზე, ქვესაკითხვებზე და სასწავლო მიზნებზე დაფუძნებით. კურიკულუმის შემუშავებისას ყურადღება გამახვილებულია: ესგ-ს შესაბამისობაზე, არის მოსწავლეზე ორიენტირებული, მრავალფეროვან რესურსებს და დავალებებს სთავაზობს, დავალებები არის პრაქტიკული და ყოველდღიურ ცხოვრებასთან კავშირზე. სთავაზობს XXI საუკუნის უნარების განვითარებას **რჩევა:** დაიგეგმოს პროექტები სხვა საგნებთან ინტეგრირებით **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები დაფუძნებულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე და ითვალისწინებს სავალდებულო თემებს. სწავლების პროცესი ემყარება ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმებით გათვალისწინებული შუალედური მიზნებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა მიერ ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში გაწერილი ატქივობები შესაძლებელია შესრულდეს იმ რესურსის გამოყენებით, რაც მითითებულია კურიკულუმებში. სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც არაა სრულად გამართული, თუმცა მეტ-ნაკლებად იძლევა საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების საშუალებას. გასაუბრებისას საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები საშინაო ცდებში იყენებენ იაფ და ხელმისაწვდომ რესურრსაც, ასევე სკოლას აქვს კომპიუტერები და ხელმისაწვდომია ვირტუალური რესურსიც
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში ასახული რესურსები (სახელმძღვანელო,ელექტრონული რესურსები და სხვა) ძირითადად არის მიზნობრივი,გათვალისწინებულია ასაკობრივი შესაბამისობა. **რჩევა**: სასურველია ყველა კურიკულუმეში მითითებული იყოს გრიფირებული სახელმძღვანელო, ასევე ყველა საკითხის შესაბამისი რესურსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნის შესაბამისი რესურსი (ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები) მიზნობრივია, რაც ხელს უწყობს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ხელოვნების

	საგნობრივი სწავლებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები – სახელმძღვანელოები, ვიზუალური მასალები, ციფრული პლატფორმები და დამხმარე მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ხელოვნების კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი რესურსებით – ხელოვნების მასალები, ტექნიკური საშუალებები, რაც ხელს უწყობს პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **სკოლას მიეცა** რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა მუსიკის სწავლებისას გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები (აუდიო და ვიდეო მასალა) და აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში. ასევე გამოყენებული იქნას სახელმძღვანელოებში მოცემული დამატებითი რესურსები.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. შერჩეული რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებისათვის ქმნის მეტ-ნაკლებად ხელსაყრელ პირობებს. ინდიკატორი **2.1.2.3 შესაბამისობაშია**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში მითითებული რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, დამატებითი ლიტერატურა, წარმატებით უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**
ფიზ. აღზრდა და	მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში

სპორტი	ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. სკოლა უზრუნველყოფილია სათანადო ინვენტარით და რესურსებით.სკოლას წარმოდგენილი აქვს სათანადო დოკუმენტაცია სადაც ნამდვილად ჩანს სკოლის აქტიური ჩართულობა სპორტში. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.3 დადასტურებულია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმებში (II–VI კლასი) გამოყენებული რესურსები მიზანმიმართულად შერჩეულია იმისათვის, რომ: დაემთხვეს თემატურ ერთეულებსა და სამიზნე ცნებებს, მოერგოს მოსწავლეთა ასაკობრივ და უნარებით შესაძლებლობებს, უზრუნველყოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული **სწავლის შედეგების მიღწევა**. რესურსების ტიპები არის ○ ციფრული რესურსები ○ დამხმარე ბეჭდური რესურსები და სახელმძღვანელოები ○ თითოეული რესურსი დაკავშირებულია კონკრეტულ თემასა და შედეგზე: ○ პროგრამული აზროვნების განვითარებისთვის; ○ ციფრული კომუნიკაციისა და ტექსტური პროდუქტების ფორმირებისთვის; ○ ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის; ○ ალგორითმული ლოგიკის გამოსამუშავებლად.

	○ აქტიურად არის ინტეგრირებული სასწავლო პროცესში ○ **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი,(გრიფირებული სახელმძღვანელო)ასევე დამატებითი რესურსები: ელექტრონული რესურსები, ნაბეჭდი მასალა, დამატებითი სახელმძღვანელო, ფოტომასალა. მათი გამოყენებით მოსწავლე უკეთ აღიქვამს შესასწავლ მასალას და უიოლდება დაამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ათვლის წერტილს წარმოადგენს გრძელვადიანი მიზანი. საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს შესრულებული აქვთ მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება, ანალიზი, მასწავლებლის რეფლექსია, შექმნილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება კომპლექსურ დავალებას და ითვალისწინებს, თუ რა შეძლო ამა თუ იმ მოსწავლემ კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა გაიაზრა და რამდენად მიუახლოვდა ის სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. რემედიაციის დოკუმენტაციიდანაც და ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიდანაც, ჩანს, რომ რომ სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. მასწავლებლებს გათვალისწინებული აქვთ კონკრეტული საჭიროების მოსწავლისათვის შესაბამისი, სათანადო აქტივობები და რესურსები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში მიმართავენ პროცესის და დავალებების დიფერენცირებას სთავაზობენ შემოქმედებითი პროდუქტების არჩევანს,წარმოდეგნილი აქვთ ინდ. სასწავლო გეგმა. მოსწავლეები ინტერესების მიხედვით ჩართულნი არიან სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებებში, არაფორმალური განათლება აძლიერებს ფორმალურ განათლებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: შუალედური მიზნის მისაღევად განსაზღვრულია, შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რას თავისთავად გულისხმობს დიფერცირებულ მიდგომას, რადგან მიზნის მისაღწევად გამოყენებულია სახვადასხვა ტიპის აქტივობები (დავალებები). ასევე, ინგლისურ ენაში სკოლას აქვს რემედიაციის გამოცდილება. იანვარ-თებერვალში კონკრეული მოსწავლის ჩამორჩენის გამო, მასწავლებელმა გამოიყენა გაკვეთილში ჩაშენებული რემედიაციის პროგრამა.
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი ესთეტიკური საგნების სწავლებისას არის ინკლუზიური პედაგოგები.სწავლების პროცესში გამოიყენებენ მიდგომებს: ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული სამუშაო რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ჩართულობას. აფასებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და ამის მიხედვით ადგენენ სწავლების სტრატეგიებს.განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინკლუზიური გარემოს შექმნას, სადაც თითოეული მოსწავლე თავს გრძნობს უსაფრთხოდ და აქტიურად მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში. **სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია, სასწავლო პროცესში აქტიურად იყოს გამოყენებული დიფერენცირებული აქტივობების ფორმატები, მაგალითად, მოსწავლეებმა შექმნან საინფორმაციო პოსტერი ან ვიდეორგოლი , პროექტებზე მუშაობა, მაკეტი, ფერწერული და გრაფიკული ნახეტები მიეცით არჩევანის საშუალება. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეთა

	მოტივაციის ამაღლებასა და მათთვის ეფექტური გზებით ცოდნის დაუფლებას.
სახელმწიფო ენა	დოკუმენტაციის მიხედვით რეკომენდებული კომპლექსური დავალებები შეძლებისდაგვარად მოდიფიცირებულია და სასწავლო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომები. პედაგოგებს შეძლებისდაგვარად გააზრებული აქვთ ამ მეთოდიკური ორიენტირის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში. ისინი აკვირდებიან მოსწავლის განვითარებას, ქმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, მოსწავლის პიროვნული განვითარებისა და ცოდნის დონის დინამიკის გასაანალიზებლად. **ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. შემოქმედებითი დავალებების შერჩევისას გათვალისწინება ხდება მოსწავლეთა ინტერესების. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებისთვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რომლის ფარგლებშიც მაქსიმალურად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, ქმნიან ადაპტირებულ შემოქმედებით დავალებებს. **სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**
ფიზ. აღზრდა და სპორტი	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, აქტიურად იღებენ

	სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებას. როგორს ფორმალურ ისე არაფორმალურ სპორტულ ღონისძიებებში.იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და შაშუალი საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში აღწერილი ფიზიკური აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.4 დადასტურებულია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმში (II–VI კლასები) ნათლად იკვეთება ისეთი ელემენტები, რომლებიც მოსწავლეთა მრავალფეროვნების გათვალისწინებაზე მიუთითებს, რაც წარმოადგენს ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლების საფუძველს. დიფერენცირება და ინკლუზიურობა წარმოდგენილია · მრავალმხრივი დავალებების ტიპები(კოდირება, ტექსტური, ვიზაუალური შინაარსზე ორიენტირებული დავალებები-რაც შეიძ;ება მოსწავლემ თავისი სურვილის მიხედვით გამოხატოს · განსხვავებული ტემპის და სირთულის დავალებები(პირობითი ნიშნების დავალებები, რომლებიც შეიძლება შესრულდეს მარტივად და რთულად Scratch-ში · გაწერილია როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური დავალებები — რაც აძლევს მასწავლებელს მოქნილობას, მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგების კუთხით. **რჩევა:**

	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი პრაქტიკულად უზრუნველყოფს ინკლუზიურ სასწავლო გარემოს და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, თუმცა საჭიროა ამ მიმართულებების უფრო მკაფიო და სტრუქტურულად დოკუმენტში ასახვა — მათ შორის დავალებების, შეფასებისა და მეთოდური მითითებების დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები იძლევა მოდიფიცირების საშუალებას. მოცემულ დავალებებზე დაყრდნობით მოსწავლეს თავისი უნარებისა და ინტერესების გათვალისწინებით შეუძლია შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

6. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ სხვადასხვა შესაძლებლობებისა და დონის მოსწავლეთა ნამუშევრები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები - როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავთარებელი. შეფასების რუბრიკები ეყრდნობა ესგ განსაზღვრულ მიზნებს, შედგენილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია როგორ გაიაზრა მოსწავლემ სამიზნე ცნებები მოცემულ თემაში მოცემული საკითხების შესწავლისას. განმსაზღვრელი შეფასებისას გათვალისწინებულია შედეგების მიღწევის ინდიკატორები ამა თუ იმ თემაში. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მასწავლებლები შეფასების პროცესში იყენებენ ისეთ წყაროებსაც, როგორიცაა მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რესურსებზე

	ხელმისაწვდომობა, მშობლების, ან დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა. საგნობრივ კათედრაზე განიხილება მოსწავლეთა მიღწევები, რათა შედეგებზე დაყრდნობით გაუზიარონ მასწავლებლემა გამოცდილება და დაგეგმონ შემდეგი ნაბიჯები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში შეფასებისათვის გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება (წერილობითი, ზეპირი). შეფასების მიზანია მოსწავლეთა პროგრესის ხელშეწყობა, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ეძლევათ მოსწავლეებს კონსტრუქციული უკუკავშირი,სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და გამოკვეთილი საჭიროებების შესახებ. **რჩევა:** სასურველია რუბრიკებში მეტად იქნას გათვალისწინებული სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები (განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები) და შედეგების მიღწევის ინდიკატორები (განმავითარებელი შეფასების რუბრიკები). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: მოცემულია შეფასების სქემები, რომლებიც უფრო ზოგადია, რაც ნაკლებად ითვალისწინებს კონკრეტულ თემაზე მორგებულ შეფასებას. გამომდინარე აქედან სკოლას **მიეცა რჩევა**: სასურველია შექმნას შუალედური მიზნის შესაბამისი, კონკრეტული შეფასების სქემა.
ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა ესთეტიკური საგნების სწავლებისას ემყარება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, სწავლების პროცესში გამოიყენება შეფასების სხვადასხვა ფორმა: თვითშეფასება, თანატოლთა შეფასება, მასწავლებლის უკუკავშირი, ნამუშევრების ანალიზი..ესსე,პრეზენტაცია და ა.შ . **სკოლას მიეცა** **რჩევა:** ესთეტიკური აღზრდის კათედრის

	სხდომებზე განიხილონ და დაამტკიცონ დაწყებით და საბაზო საფეხურის თითოეულ კლასში განსახორციელებელი ყველა კომპლექსური დავალების შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კრიტერიუმები დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში;
სახელმწიფო ენა	პედაგოგებს შეძლებისდაგვარად გააზრებული აქვთ შეფასების რუბრიკების დანიშნულება და ფუნქცია გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირების პროცესში. სამივე საფეხურის კათედრა კომპლექსური დავალების შესაფასებლად იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. **ინდიკატორი 2.12.5. შეესაბამისობაშია**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სამივე საფეხურე სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს როგორც დაინახოს მასწავლებელს მოსწავლის პროგრესი, ასევე, მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე.**სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**
ფიზ. აღზრდა და სპორტი	ფიზიკური აღზრდის საგანში სკოლას აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების

	რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტებია გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით.მასწავლებელი აქტუალურად იყენებს სიტყვიერ შეფასებას,**ინდიკატორი 2.12.5. დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მოსწავლის შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული გეგმით განსაზღვრულ ზოგად მოთხოვნებთან, მაგრამ საჭიროებს მრავალფეროვნების, პროცესზე ორიენტირებულობისა და ინდივიდუალური საჭიროებების უკეთესად გათვალისწინებას, რათა სრულად განხორციელდეს შეფასების მიზანი — სწავლა და განვითარება. **რჩევა:** სკოლამ უზრუნველყოს ამ მიმართულებით მასწავლებლის გადამზადება შეიქმნას კონკრეტულ თემაზე /საკითხზე სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედასების ინდიკატორებს. შეფასების რუბრიკები მიემართება საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. შეფასებები ემსახურება მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას და მათ განვითარებაზეა ორიენტირებული. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სახელმწიფო ენა. (საგნობრივი კურიკულუმები; ქართული კურ .კომპ; შეფასების რუბრიკა 1-4 ქართული; განმსაზღვრელი - ესე-მე-8 კლასი; დიაგნოსტირება VIII კლასი; მე-12 კლასის შემაჯამებელი ქართულში;_12 კლ შემაჯ ამებელი ამალიზი; VIII კლასის დავალების ნიმუში_0001 ;ქართული მე-10 კლასი ვერიფიკაცია; ურთიერთშეფასება შეფასება-VIII კლასი.).

საზოგადოებრივი მეცნიერებები: საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, ინდ. სასწავლო გეგმა, დიაგნოსტიკური წერის ანგარიში.

მათემატიკა

- სამივე საფეხურის მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები ;
- შემოქმედებითი დავალებები, შემაჯამებელი დავალებები(შეფასების რუბრიკებით);
- განმსაზღველი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები;
- სკოლის სასწავლო გეგმა;

[კომპიუტერული ტექნოლოგიები]

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

დაწყებითი საფეხური: I-VI კლასის ბუნება-კურიკულუმები, 2 კლასი ბუნება დიაგნოსტირება, 4 კლ - დიაგნოსტირება ბუნება - კომიქსი, 4 კლ. - ვერიფიკაცია ბუნება, 4 კლასი - რემედიაცია-ბუნებისმეტყველება, მე-6 კლასი - ისგ ბუნება, მე-6 კლასი-მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება ბუნება, 6-კლასი-ვერიფიკაცია. დამატებით მოთხოვნის შემდეგ წარმოდგენილია: მე-6 კლასის აკადემიური შეფასების ანალიზი რეფლექსია ბუნებაში, მე-6 კლასის მოსწავლის ნამუშევარი ბუნება 6 კლასი. გასაუბრების შემდეგ გადმოგზავნილი: ბუნ.დავ IV, ბუნების კომპლ IV, შემჯ. რემედი ბუნ IV, 6 კლასი-მოსწავლეთა

მიღწევების დიაგნოსტირება ბუნება, 6 კლასის აკადემიური შეფასების ანალიზი რეფლექსია, 6 კლასის კურიკულუმი ბუნებისმეტყველება.

საბაზო საფეხური: ბიოლოგია: 7-8-9 კლასის კურიკულუმები (ბიოლოგია), ბიოლოგია - რემედიაცია მე-7 კლასი. დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის შემდეგ წარმოდგენილია: მე-7 კლასი, რემედიაცია ბიოლოგიაში, 7 კლასის რემედიაციის გეგმა - აქტივობები 7 კლასი ბიოლოგია. გასაუბრების შემდეგ გადმოგზავნილია: განმსაზღვრელი შეფასებია რუბრიკა - 8 კლასი. ბიოლოგია. **ქიმია:** 8 კლასი კურიკულუმი, 9 კლ - დირექტორის შეფასება მე-9, 9 კლასის კურიკულუმი, თვითშეფასება, მე-8 განმავითარებელი, მე-8 დიაგნოსტირება, მე-8 ვერიფიკაცია, მე-8 კლასი განმსაზღვრელი. **ფიზიკა:** 7-8-9 კლ - კურიკულუმები ფიზიკა, 7 კლ - რემედიაცია ფიზიკა, 7 კლასი - განმავითარებელი შეფასება, 7 კლასი - ვერიფიკაცია ფიზიკა, 8 კლასი - განმავითარებელი შეფასება ფიზიკა, 8 კლასი - განმსაზღვრელი შეფასება ფიზიკა, 10 კლასი - ვერიფიკაცია ფიზიკა. დამატებით მოთხოვნის შემდეგ წარმოდგენილია: მოსწავლის ნამუშევარი ფიზიკაში VIII კლასი, გასაუბრების შემდეგ გადმოგზავნილი: ფიზიკა განმავითარებელი შეფასება VIII კლასი.

საშუალო საფეხური: ბიოლოგია: 10-11-12 კლასის კურიკულუმი ბიოლოგია, ვერიფიკაცია--10-კლასი, ისგ ბიოლოგია 10, გასაუბრების შემდეგ გადმოგზავნილი: განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა- 10 კლასი - ბიოლოგია, კომპლექსური დავალების შეფასება ბიოლოგია X კლასი, კომპლექსური დავალების შეფასება ბიოლოგია XI კლასი. **ქიმია**: X-XI-XII კურიკულუმები (ქიმია). დამატებით მოთხოვნის შემდეგ წარმოდგენილია: კომპლექსური 10 კლასი სსმ ქიმიაში, გასაუბრების შემდეგ გადმოგზავნილი: კომპლექსური დავალება ქიმია 10 კლასი. **ფიზიკა**: 10-11-12 კლასების კურიკულუმები ფიზიკა, 10 კლასი ფიზიკა რემედიაცია, 10 კლასი-ფიზიკა ვერიფიკაცია, განმსაზღვრელი შეფასება 10 კლასი, ისგ-ფიზიკა-10-კლასი, 2024-25, შემაჯამებელი დავალების ანალიზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სკოლის საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით. მოსწავლეთა ნაშრომებიდან, მათი მიღწევების დიაგნოსტირებიდან, შეფასების რუბრიკებიდან, ანალიზიდან, რემედიაციის დოკუმენტაციიდან (გეგმები, ტესტები, რესურსები, აქტივობები) ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად.
საზოგადოებრივი	სასწავლო პროცესში ხდება კურიკულუმის მოდიფიცირება საჭიროებიდან გამომდინარე,

მეცნიერებები	სკოლაში ხორციელდება სადიაგნოსტიკო წერები, შემაჯამებელი სამუშაოები, ურთიერთდაკვირვება, რაც პროცესს მეტად ორიენტირებულს ხდის შედეგზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: სასწავლო პროცესში, სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად დაგეგმილი აქტივობების განხორციელების ერთ-ერთი დასტურია მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მათი შეფასებები და უკუკავშირი.
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი ხელოვნებისა და მუსიკის საგნებში დაფუძნებულია სასკოლო კურიკულუმზე. გაკვეთილები იგეგმება თემატური ერთეულებისა და მიზნობრივი სწავლის შედეგების მიხედვით. სწავლების შინაარსი შერჩეულია კურიკულუმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში და მიზნად ისახავს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების, მხატვრული აღქმისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ინტეგრირებული მიდგომები ამ ეტაპზე სისტემურად არ გამოიყენება, პროცესი ეფექტიანად ეხმიანება კურიკულუმით დადგენილ სტანდარტებს და უზრუნველყოფს სწავლების მიზნობრივობას. მნიშვნელოვანია საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების გაძლიერება,
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი ეფუძნება კურიკულუმში წარმოდგენილი სავალდებულო თემების, ქვესაკითხებისა და საკითხების გააზრებასა და გაცნობიერებას. თემების გაანალიზებისა და გააზრებისათვის, შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის/კომპლექსური დავალებები. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული კონკრეტული საგნობრივი საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსები და სასწავლო აქტივობები. **შეესაბამება ინდიკატორს**

მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ, სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც მკაფიოდაა წარმოდგენილი სკოლის დოკუმენტაციაში და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს. უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები, საკითხები, დავალების/შუალედური მიზნის პირობები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული. შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**
ფიზ. აღზრდა და სპორტი	ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები გაწერილი თემები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. მასწავლებელთან გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, ეს დოკუმენტებითაც დასტურდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი 2.2.1.1 დადასტურებულია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, სტრუქტურა შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის ფორმატს, თემატიკა თავსდება სასწავლო წლის გეგმაში თანმიმდევრულად (ყოველ კლასში თემები გადანაწილებულია თანმიმდევრულად და პროგრესულად (მარტივიდან რთულისკენ). რაც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია გრძელვადიანი კურიკულუმის შესაბამისად, არა ფრაგმენტულად. **ინდიკატორი დადასტურებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულიაა 2024-2025 სასწავლო წლისათვის.როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, სასწავლო პროცესში განახორციელეს ყველა დაგეგმილი აქტივობა. რომლის დასტურია მოსწავლეთა ნამუშევრები. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმების განხორციელებისას იყო გარკვეული გამოწვევები, მიგნებებითუმცა იყო გარკვეული გამოწვევები ზემოხსენებული გამოცდილებიდან გამომდინარე,მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს საგნობრივ კურკულუმებში.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, ფორს მაჟორული სიტუაციების დროს უზრუნველყოფს კანონის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოახდინოს, საჭირო ზომების მიღება. კოლა მდებარეობს მაღალმთიან რეგიონში, ხშირი ნალექის შემთხვევებში უწევთ სასწავლო პროცესის შეჩერება/საგაკვეთილო განრიგის შეცვლა. ესაბამისად ხორციელდება ცვლილების შეტანა სასკოლო გეგმაში. **ინდიკატორი შესაბამისია სტანდარტთან.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირების დოკუმენტაცია, მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, აქტივობების შეფასების კრიტერიუმები, შეფასების ვერიფიკაციის სქემები - ყველაფერი მოწმობს, რომ

	შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებელთა მიერ შეფასების პროცესი მოიაზრება სასწავლო პროცესის ნაწილად და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე, მოსწავლეები და მშობლები იცნობენ შეფასების სისტემას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: შეფასების პრიციპები დაცულია.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ შეფასების სისტემა სკოლაში ემყარება სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სქემები, და შეფასებული კომპლექსური დავალებები. შეფასების სქემები ეროვნულ სასწავლო გეგმის შედეგების მიხედვით არის გაწერილი და ზოგად ხასიათს ატარებს. **სკოლას მიეცა** რჩევა: : ესთეტიკური აღზრდის კათედრის სხდომებზე განიხილონ და დაამტკიცონ დაწყებით და საბაზო საფეხურის თითოეულ კლასში განსახორციელებელი ყველა კომპლექსური დავალების შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კრიტერიუმები დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში; განმავითარებელ შეფასებაში, აისახოს რეკომენდაციებიც, რომელიც შედეგის გაუმჯობესებაზე და გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით პროგრესზე იქნება ორიენტირებული და შეფასება არ მოიცავდეს მხოლოდ აღწერას, თუ რა გააკეთა მოსწავლემ. კომპლექსური დავალებების შეფასებისას მოსწავლის შეფასება იყოს თანხვედრაში სოლო ტაქსონომიის დონეებთან დოკუმენტაციაშიც.
სახელმწიფო ენა	.პედაგოგთა თქმით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოსწავლეები გათვითცნობიერებულნი არიან შეფასების მიზნობრიობაში, ისინი იცნობენ შეფასების

	კრიტერიუმებს. კომპლექსური დავალებებისთვის და შეფასების რუბრიკებისთვის მუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის დანერგვას შეუწყობს ხელს. პედაგოგები შეეცდებიან თავიანთი პრაქტიკული გამოცდილება დახვეწონ ამ კუთხით და შეფასების სისტემა გამოიყენონ მოსწავლეთა ცოდნის დონის განსასაზღვრად. **ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის მიხედვით. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, ანალოგიური რუბრიკები ცნობილი იქნება მოსწავლეებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობას. შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**
ფიზ. აღზრდა და სპორტი	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები,შეფასების რუბრიკა გამჭირვალეა და მოსწავლეებს კარგათ აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა. სადაც აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით.მასწავლებელი აქტუალურად იყენებს სიტყვიერ შეფასებას,**ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის სხდომების ოქმების, შეფასების რუბრიკების, სხვა დოკუმენტაციის გაცნობისას და მასწავლებელთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა,

	რომ შეფასების სისტემის სამართლიანობა, გამჭვირვალობა, ვალიდურობა, ობიექტურობა და სანდოობა პირდაპირ კავშირშია მოსწავლეების მიერ დავალებებში სამიზნე ცნებების/ქვეცნებების, საკითხების სრულყოფილ და გააზრებულ ათვისებასთან. **რჩევა:** · დაემატოს განმავითარებელი შეფასება (შუალედური უკუკავშირი, პროცესზე დაკვირვება). · გამოყენებულ იქნას თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება. · შეფასების რუბრიკები იყოს მორგებული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. · შეფასება ასახავდეს პროგრესს — არა მხოლოდ საბოლოო შედეგს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების სისტემის ვალიდურობა, ობიექტურობა, სანდოობა და სამართლიანობა გაპირობებულია იმ გარემოებით,რომ შეფასების რუბრიკები შეესაბამება დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებს. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკებს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები თვალსაჩინო ადგილასაა გაკრული, რაც განაპირობებს შეფასების სისტემის გამჭირვალობასა და სანდოობას. სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, დავალების წარდგენის შემდეგ,მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მსჯელობს გასაუმჯობესებელ შედეგებზე, მოსწავლეები აკეთებენ თვითშეფასებას.

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

 კოლაში დირექტორი ინდ. ქტით (2024 წლის 27/09 ბრძანება N 01-03/32) დამტკიცებული ვერიფიკაციის მექანისმის მარეგულირებელი დოკუმენტი, რაც ითვალისწინებს შეფასების სისტემის განხილვას გადახედვას, ცვლილების შეტანას. ა ცვლილების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების ჩამონათვალს. **ინდიკატორი შესაბამისია სტანდარტთან**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

 კოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. კოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს ასევე გამოყოფილი ყავს ჟურნალზე მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;

ლექტრონულ ჟურნალზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფის შესახებ ბრძანება;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მიმართულების კურიკულუმებში გაწერილი აქტივობების შესასრულებლად სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გარკვეული რესურსი, თუმცა საჭიროა მისი განახლება და უკეთ აღჭურვა. საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები იყენებენ ვირტუალურ რესურსსაც, სკოლას აქვს კომპიუტერები, ინტერნეტი, და ასევე საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტებისათვის გამოსადეგ იაფ და

	ხელმისაწვდომ რესურსს, რაც ჩანს წარმოდგენილ ფოტომასალაზე, ასევე, მოსწავლეთა ნაშრომებიდანაც.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	გრიფირებული სახელმძღვანელოებთან ერთად გამოიყენება ციფრული რესურსები, სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები (დამატებითი ლიტერატურა, რუკები, გლობუსები, სქემები, ფოტომასალა). უზრუნველყოფილია ინტერნეტზე წვდომა. რესურსები მოსწავლეთათვის თანაბრად ხელმისაწვდომია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: მასწავლებლები იყენებენ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს. აღნიშნულის დასტურია, შედგენილი კურიკულუმების შესაბამისად განხორციელებული დავალებები.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა ხელოვნებისა და მუსიკის სწავლებისას იყენებს როგორც გრიფირებულ ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია ხელოვნების გაკვეთილებზე, შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ დონეს და უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ვიზუალურად და პრაქტიკულად გამდიდრებას. თუმცა, მუსიკის სწავლების პროცესში სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება შეზღუდულია და არ ხდება კურიკულუმთან მათი სისტემური კავშირით გამოყენება. **სკოლას მიეცა რჩევა;** • ხელოვნებისა და მუსიკის რესურსების ბაზა დაიგეგმოს კათედრის შეთანხმებით; • რესურსები დალაგდეს თემების, საგნებისა და კლასების მიხედვით კურიკულუმთან შესაბამისობაში; • აქტიურად იქნას გამოყენებული განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდებული ვებ-გვერდები და პლატფორმები; • მუსიკის საგნის სწავლებისას ინტეგრირდეს მრავალფეროვანი ვიზუალური, აუდიო და ციფრული რესურსები, რაც გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს და მოსწავლეთა

	ჩართულობას.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას ძირითად რესურსად დასახელებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე რესურსად კი სხვადასხვა ლიტერატურული ნაშრომები,რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხებს და გრძელვადიან სასწავლო მიზნებს. **.ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები სამივე საფეხურზე, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში მითითებულია რესურსები: შესაბამისი კლასის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი (ხანის აკადემია, math.ge, ტელესკოლა, youtube) და სხვა. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ ყველა მითითებული რესურსი წარმატებით გამოიყენება სასწავლო პროცესში. **სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**
ფიზ. აღზრდა და სპორტი	დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდის სწავლა-სწავლების პროცესის დროს აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას და განვითარებას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი

	ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები ფეხბურთის, ხელბურთის და კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშებით, ლაშქრობა) და თეორიული (მაგ., დაბალანსებული კვება, ჰიგიენა) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.1. დადასტურებულია**
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები სრულად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც შესაძლებელი გახდა არსებული ინფრასტრუქტურის და ტექნიკური უზრუნველყოფის წყალობით. · კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით; · ხელმისაწვდომია ინტერნეტ კავშირი, რაც აუცილებელია ონლაინ პლატფორმებთან და სასწავლო ვიდეოებთან წვდომისთვის; · ლაბორატორია უზრუნველყოფილია პროექტორით, რაც ამარტივებს მასალის პრეზენტაციას და კოლაბორაციულ მუშაობას. კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები მოიცავს: ეროვნული და საერთაშორისო ელექტრონული პლატფორმები: ▪school.emis.ge ▪ code.org,

	scratch.mit.edu · საოფისე პროგრამები: ▪ Microsoft Word, PowerPoint, Excel · დამხმარე სახელმძღვანელოები: ▪ რეკომენდირებული მასალები და ინტერნეტ რესურსები, რომელიც მორგებულია ასაკობრივ ჯგუფებს ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, . დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტი. სასწავლო პროცესში გამოიყენებული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. (სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ონლაინ რესურსები, ტელესკოლის გაკვეთილები).

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო	საბუნებისმეტყველო მიმართულების მასწავლებლებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ

მეცნიერებები	საგნობრივ კათრდრებზე განიხილება და საბუთდება იმ დამხმარე რესურსების სანდოობა და ვალიდურობა, რომლებსაც შემდგომში სკოლა იყენებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად. ამდენად, სასწავლო პროცესში საჭირო დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად და დასაბუთებულია სასკოლო სასწავლო გეგმით.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე, გათვალისწინებულია ცალკეული საგნების საჭიროება და მოსწავლეთა ინტერესები. სასწავლო წლის მანძილზე საჭიროებიდან გამომდინარე ხდება რესურსების გამრავალფეროვნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: დამხმარე რესურსები გამოყენებულია შუალედური მიზნის შესაბამისად და მათი ვალიდაცია ხდება, სასწავლო წლის დასაწყისში კათედრაზე კურიკულუმების შემუშავება - განხივლისას.
ესთეტიკური აღზრდა	საგნის (ხელოვნება, მუსიკა) სწავლებისას იყენებენ სხვადასხვა ტიპის დამხმარე სასწავლო რესურსს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებასა და აქტიური სწავლების განხორციელებას. მასწავლებლები ინდივიდუალურად ირჩევენ დამატებით მასალებს და იყენებენ როგორც ბეჭდურ, ასევე ციფრულ რესურსებს, რაც ზოგადად ემყარება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.თუმცა, რესურსების შერჩევა და გამოყენება ყოველთვის არ გადის ერთიან, მკაფიოდ განსაზღვრულ შიდა ვალიდაციის პროცესს. ამ ეტაპზე დამხმარე რესურსების შეფასება და დამოწმება მიმდინარეობს არაოფიციალურ ფორმატში, რაც ქმნის რისკს, რომ ყველა გამოყენებული მასალა არ იყოს ერთნაირად ხარისხიანი, შესაბამისი ან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული. მასწავლებლები ხშირად ეყრდნობიან გამოცდილებასა და პირად შეხედულებებს რესურსის შერჩევისას, თუმცა არ არსებობს მკაფიოდ დადგენილი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს რესურსის

	ვალიდურობას და მის შესაბამისობას ასაკობრივ, საგნობრივ და მეთოდურ სტანდარტებთან.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები და მათი მიზნობრიობა განხილულია კათედრათა სხდომებზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა სასწავლო-საგანმანათლებლო არხებიდან. ზემოთნახსენები ფაქტორები ცხადყოფს დამხმარე რესურსების მეტ-ნაკლებ ვალიდაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში მითითებულია დამხმარე სასწავლო რესურსები: ხანის აკადემია, , math.ge, ტელესკოლა, youtube და სხვა. ყველა კურიკულუმი შემუშავებულია მათემატიკის კათედრის მიერ, შესაბამისად მათში მითითებული დამხმარე რესურსები ვალიდურია. **სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**
ფიზ. აღზრდა და სპორტი	სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებენ, რომ მათზე მუშაობისას პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.2.2 დადასტურებულია**
ტექნოლოგიები	სკოლას აქვს შემუშავებული დამატებითი სასწავლო რესურსების ვალიდაციის მექანიზმის, რომ სკოლა აკონტროლებს დამატებითი რესურსების შერჩევის წესებს, რაც გულისხმობს შიდა ვალიდაციის პროცესს (სსიპ ხულოს რაიონის სოფელ ოქრუაშვილების საჯარო სკოლის მათემატიკის და კომპიტერული ტექნოლოგიების კათედრის სხდომის ოქმი № 1, 03.09.2024 წ. აღწერილია თუ როგორ ხდება სასწავლო

	რესურსების შერჩევა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს დანართი N3 თან) გამოყენებული რესურსები შეესაბამება საგნობრივ მიზნებს, დამხმარე რესურსები შერჩეულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მჭიდროდ უკავშირდება კურიკულუმით განსაზღვრულ თემატიკას, მაგალითად: • ოქმში მითითებული დამხმარე სახელმძღვანელო/ მასალები; • საჯარო პლატფორმები, რომლებსაც ან სსიპ "განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა" უწევს ზედამხედველობას, ან არის საერთაშორისოდ აღიარებული (code.org, scratch.mit.edu). არ გამოიყენება კომერციული ან დაუდასტურებელი რესურსები კურიკულუმში არ ჩანს ისეთი მასალების მითითება, რომელიც არ შეესაბამება სამინისტროს ან სკოლის პოლიტიკას — რაც ნიშნავს, რომ ვალიდაციის შიდა პროცესი პრაქტიკაში ფუნქციონირებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	როგორც გასაუბრებისას აღინიშნა,კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად და დამტკიცებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს. საბუნებისმეტყველო მიმართულების მასწავლებლებმა წარმოადგინეს კათედრაზე წინასწარ გაწერილი და შემუშავებული სასწავლო აქტივობები და რესურსები ყველა შესაძლებლობის მოსწავლისათვის, რომლებიც გამოყენებულია შუალედური მიზნების შესაბამისად: დამატებითი ელექტრონული რესურსები (სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია და ინტერნეტი). სასწავლო პროცესში გამოიყენებული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას (მაგ. სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ონლაინ რესურსები, მაგალითად, პლატფორმა Tinkercad, ტელესკოლის გაკვეთილები). *მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში არსებობს, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიის საგნებში შედარებით მარტივი კვლევითი სამუშაოების ჩატარებისთვის აუცილებელი ინვენტარი, მატერიალური რესურსები, სივრცე სადაც თავმოყრილია მოცემული რესურსები,* ***სკოლას არ აქვს ლაბორატორია, ამ ეტაპზე ვერ უზრუნველყოფს ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებას საბაზო და საშუალო საფეხურებზე, მის ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის.*** **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით, სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 22/07/2026-მდე, სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია მოიყვანოს სტანდართან შესაბამისობაში.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში ასახული მატერიალური და ციფრული რესურსები ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, ხდება მათი გამრავალფეროვნება კონკრეტული კლასის საჭიროებიდან გამომდინარე. ხელმისაწვოდმია კომპიუტერები, პროექტორი, უზრუნველყოფილია

	ინტერნეტზე წვდომა. რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: სკოლას აქვს შესაბამისი რესურსი, რათა მოხდეს უცხოური ენის ოთხივე მიმართულების (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი) მიხედვით კომპეტენციების განვითარება.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ხელოვნების საგნობრივი სწავლებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები – სახელმძღვანელოები, ვიზუალური მასალები, ციფრული პლატფორმები და დამხმარე მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ხელოვნების კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი რესურსებით – ხელოვნების მასალები, ტექნიკური საშუალებები, რაც ხელს უწყობს პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **სკოლას მიეცა რჩევა:** მუსიკის სწავლებისას გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები (აუდიო და ვიდეო მასალა) და აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში. ასევე გამოყენებული იქნას სახელმძღვანელოებში მოცემული დამატებითი რესურსები.
სახელმწიფო ენა	სასკოლო სივრცეში, სწავლა-სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ მატერიალური რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლას აქვს ლეპტოპები, ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი, რომელიც სკოლის გამოყენება მათემატიკის მიმართულებით სამივე

	საფეხურზე. საკლასო ოთახებში, სკოლას განთავსებული აქვს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად და სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მისაღწევ. **სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**
ფიზ. აღზრდა და სპორტი	კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას ღებულობენ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ ვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.3 დადასტურებულია**
ტექნოლოგიები	მოსწავლის რაოდენობა და მატერიალური ბაზა მჭიდროდაა გათვლილი ისე, რომ ყველა მოსწავლეს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა ჩაერთოს აქტიურ სწავლებაში — რაც აკმაყოფილებს როგორც ეროვნულ სტანდარტს, ისე ინკლუზიური და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს მოთხოვნებს. სკოლას გააჩნია შესაბამისი ტექნიკური ინფრასტრუქტურა: · სკოლა აღჭურვილია კომპიუტერული ლაბორატორიით, რაც საშუალებას იძლევა თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს პირდაპირი წვდომა კომპიუტერულ რესურსზე; არსებობს ინტერნეტკავშირი, რაც აუცილებელია ელექტრონული პლატფორმების (emis.ge, code.org, Scratch) გამოყენებისთვის; საკლასო სივრცე უზრუნველყოფილია პროექტორით, რაც ხელს უწყობს ჯგუფურ განხილვებს, ვიზუალურ სწავლებასა და მრავალმხრივ პრეზენტაციებს.

	· მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა არ აღემატება რესურსის შესაძლებლობებს: საგაკვეთილო პროცესში თითოეულ მოსწავლეს ეძლევა ინდივიდუალური მუშაობის საშუალება, რაც ქმნის თანაბარ პირობებს რესურსზე წვდომისთვის; · მატერიალური რესურსი შეესაბამება კურიკულუმით დადგენილ მიზნებს: ისეთ დავალებებს, როგორიცაა Scratch-ის პროექტის აწყობა, პრეზენტაციის მომზადება Word-ში ან მონაცემების ანალიზი Excel-ში — ყველა საჭიროებს ტექნიკურ უზრუნველყოფას, რომელიც სკოლას გააჩნია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში სკოლა იყენებს შესაბამის მატერიალურ რესურსს მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის მიხედვით, დაწყებითი კლასების ყველა მოსწავლე სარგებლობს სკოლის მხრიდან მასზე გადაცემული გრიფირებული სახელმძღვანელოებით. სკოლის მიერ გადმოგზავნილ კურიკულუმების თანახმად დამატებითი ელექტრონული რესურსები მოსწავლეებს მიეწოდებათ ჰიპერლინკების სახით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას არ ჰყავს დაწყებით საფეხურზე კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, სპორტისა და კომბინირებული საგნები საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის საფუძველზე სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, 22/07/2026 უზრუნველყოს დაწყებით საფეხურზე სპორტისა და კომბინირებული საგნების კომპეტენტური კადრების დასაქმება.

ინდიკატორი მეტწილად არის სტანდარტთან შესაბამისი

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები: საგნობრივი კურიკულუმები, კურიკულუმებში ასახული ელექტრონული რესურსები, რესურსების ამსახველი ფოტო მასალა;

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- საგნობრივი კურიკულუმები,
- კურიკულუმებში ასახული ელექტრონული რესურსები,
- რესურსების ამსახველი ფოტო მასალა;
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის საგნის კურიკულუმები
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის საგნის შეფასების რუბრიკების ნიმუშები
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის საგნის დიაგნოსტიკური სამუშაოს ანალიზის ფორმები
- მასწავლებელთა პირადი საქმეები
- ხელშეკრულებები;
- ფიზიკური აღზრდის და სპორტის კურიკულუმი.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების რუბრიკები.
- შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა
- ვერიფიკაციის მექანიზმი.
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

- სკოლა_ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
- ფოტომასალა- სპორტ დარბაზი, სპორტული ინვენტარი.
- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულიმები.
- მატერიალური რესურსის ამსახველი ფოტო-მასალა.
- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების განმსაზღვრელი და განმავიტარებელი შეფასების რუბრიკები.
- დიაგნოსტიკური სამუშაობის ანალიზის ფორმები.
- სამივე საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები
- სამივე საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშბი მათემატიკაში
- მათემატიკის კათედრის სამოქმედო გეგმა

ტექნოლოგიები:

- ტექნოლოგიების სასწავლო კურიკულუმები (II-VI კლასები);
- ტექნოლოგიების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- კურიკულუმების შეფასება და მონიტორინგი;
- კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;
- ინდ. გეგმა;
- სასწავლო პროცესის ურთიერთშეფასება;
- სკოლის თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები;
- საჯარო სკოლის ვებ გვერდის და ელექტრონული მისამართები;
- სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დებულება;
- სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიის სურათები.

უცხოური ენები:

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები(დაწყებითი, საბაზო, საშუალო)
- მატერიალური რესურსის ამსახველი ფოტო-მასალა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. ონიტორინგის მექანიზმი გაწერილია სკოლის ინდ აქტით დამტკიცებული კურიკულუის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. ანგარიშის ფორმებით. **ინდიკატორის მოთხოვნები შესაბამისობაშია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

კურიკულუმის ონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. ონიტორინგის მექანიზმი გაწერილია სკოლის ინდ. აქტით დამტკიცებული კურიკულუის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. ანარიშის ფორმები, რითაც ხორციელდება, მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. **ინდიკატორის მოთხოვნები შესაბამისობაშია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, შეფასების ანგარიშებში იკითხება გამოკვეთილი გამოწვევები, ძლიერი და სუსტი მხარეები და გადაჭრის გზები. **ინდიკატორის მოთხოვნები შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის განვითარები მეთოდოლოგია

საგნობრივი კურიკულუმის შედასება

ტექნოლოგიები:

- *სკოლის თვითშეფასების ფორმა;*
- *კურიკულუმების შეფასება და მონიტორინგი;*
- *კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგია;*
- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;*

- *სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მოსწავლე არ ფასდება მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, რომლის განსახორციელებლადა და კომპლექსურად. შესაძლებელი იქნება მრავალფეროვანი წყაროებიდან მიღებული სხვადასხვა სახის ინფორმაციის ორგანიზებულად განთავსება. ამ ფორმით წარმოდგენა გააადვილებს მონაცემებთა ანალიზისა და მათზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანის პროცესს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.**

შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მოპოვებით და ამის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებით. **ინდიკატორის მოთხოვნები შესაბამისობაშია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარიდან. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და კათედრების მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირის, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს..**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასების სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით განხორციელებას უზრუნველყოფს კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, შეფასების რუბრიკები, საგნობრივი და ინტეგრირებული პროექტები, მასწავლებლების მიერ ინტერვიუს დროს მოთხრობილი ფაქტები მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობის შესახებ. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნები შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ასკოლო სასწავლო გეგმა

ეფასების რუბრიკები

ტექნოლოგიები:

- *სკოლის თვითშეფასების ფორმა;*
- *კურიკულუმების შეფასება და მონიტორინგი;*
- *კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სამივე საფეხურის კურიკულუმი;*
- *სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმი გადაფასდება საგნობრივ კათედრებზე, საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი; კათედრის სამუშაო შეხვედრებზე, მასწავლებლები განიხილავენ კურიკულუმებს შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გადამუშავების საფუძველზე ცდილობენ შექმნან საუკეთესო მოდელები.ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესებში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირეცია. თითოეულ საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სასწავლო პროცესი ქმნის მოსწავლის გამოცდილების უწყვეტობას. ვინაიდან სკოლაში კურიკულუმის დანერგვა მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს დაწერილ/დაგეგმილ და რეალიზებულ პროცესებს შორის, აუცილებელია მისი, როგორც უწყვეტი ციკლის გააზრება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ასკოლო სასწავლო გეგმა

კურიკულუმები

ტექნოლოგიები:

- *სკოლის თვითშეფასების ფორმა;*
- *კურიკულუმების შეფასება და მონიტორინგი;*
- *კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სამივე საფეხურის კურიკულუმი;*
- *სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თარიღი : 6 აგვისტო, 2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნესტან გიგაშვილი -

მაია მერაბიშვილი -

თეონა მაცაბერიძე -

კახა ფარცვანია -

ეკა მოსიაშვილი -

მარინა მურჯიკნელი -

ნიკოლოზ ჩუბინიძე -

მიმოზა ტყებუჩავა -

შორენა კაკაბაძე  -

ალექსანდრე ლაცაბიძე -